# გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია „თავისუფლება და პასუხისმგებლობა სტუდენტის ეთიკის კონტექსტში“

# GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY STUDENTS SCIENTIFIC CONFERENCE "FREEDOM AND RESPONSIBILITY IN THE CONTEXT OF STUDENT ETHICS"

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი “კრიმინოლოგი” №1(17). დამატება №2
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL “CRIMINOLOGY” №1(17). ADDITION №2

ISSN 1512-3804



საქართველო. თბილისი
GEORGIA. TBILISI
2024

გაეროს ეკონომიური და სოციალური საბჭოს (ECOSOC)
სპეციალური კონსულტანტის სტატუსის მქონე
საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის
დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ინსტიტუტი,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

The Organization in Category of Special Consultative Status
with the Economic and Social Council (ECOSOC) of UN
Georgian Academy of Criminology Sciences
Institute of Study and Prediction of Crime,
Law and Criminology Scientific Research Institute at
Grigol Robakidze University

## სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

# „თავისუფლება და პასუხისმგებლობა სტუდენტის ეთიკის კონტექსტში“

## Scientific conference of students

# “FREEDOM AND RESPONSIBILITY IN THE CONTEXT OF STUDENT ETHICS”

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული
ჟურნალის „კრიმინოლოგი“ №1 (17) დამატება №2
International Scientific-Practical Journal
„Criminology“ №1(17) Addition №2

თბილისი - Tbilisi
2024

ჟურნალის „კრიმინოლოგი“ №1(17) დამატება №2 ეძღვნება გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორ გელა ბანძელაძის სახელობის „პროფესიული განვითარების ცენტრში“, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) სპეციალური კონსულტანტის სტატუსის მქონე საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის მხარდაჭერით საუნივერსიტეტო პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას „თავისუფლება და პასუხისმგებლობა სტუდენტის ეთიკის კონტექსტში“.

სარედაქციო კოლეგია:

**პროფესორი მალხაზ ბაძაღუა - ხელმძღვანელი**
**პროფესორი მამუკა თავხელიძე**
**პროფესორი მიხეილ ბაძაღუა**
**სტუდენტი ნიკოლოზ ნაჭყებია**

.........................................................................................

Journal “Criminologist” N1(17) addition N2 is dedicated to the “Professional Development Center” named after Professor Gela Bandzeladze of the Scientific Research Institute of Law and Criminology of the Grigol Robakidze University, the Organization of Special Consultant Status of the United Nations Economic and Social Council (ECOSOC) by the Research Institute of Law and Criminology of the University with the support of the Georgian Academy of Criminological Sciences within the university project about the students scientific conference “Freedom and Responsibility in the Context of Student Ethics”.

The Editorial Board:

Professor **Malkhaz Badzagua -** Head of the Board
Professor **Mamuka Tavkhelidze**
Professor **Mikheil Badzagua**
Student **Nikoloz Natchkebia**



## სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია „თავისუფლება და პასუხისმგებლობა სტუდენტის ეთიკის კონტექსტში“

2023 წლის 22 დეკემბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორ გელა ბანელაძის სახელობის „პროფესიული განვითარების ცენტრში“, უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაეროს ეკონომიური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) სპეციალური კონსულტანტის სტატუსის მქონე საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის მხარდაჭერით საუნივერსიტეტო პროექტის ფარგლებში გაიმართა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია: „თავისუფლება და პასუხისმგებლობა სტუდენტის ეთიკის კონტექსტში“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა, აკადემიურმა პერსონალმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა.

საუნივერსიტეტო პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტის სკოლების სტუდენტებთან, მათ შორის ბათუმის კამპუსში ჩატარდა სტუდენტთა სოციოლოგიური კვლევა, ანონიმურად, ანკეტური მეთოდის გამოყენებით ქართულ და ინგლისურ ენაზე.

კონფერენციის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს პრაღის უნივერსიტეტში დაღუპული მოქალაქეების ხსოვნას.



სტუდენტური კონფერენცია გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**.

სტუდენტური კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა და უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხებისადმი დაინტერესებისათვის მადლიერება გამოხატა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მამუკა თავხელიძემ.**

კონფერენციას მედიატორობას უწევდა პროექტის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის სტუდენტთა ომბუდსმენი, სამართლის სკოლის სტუდენტი **ნიკოლოზ ნაჭყებია.**

კონფერენციაზე მოხსენებებით თავისუფლების, წესრიგის, პასუხისმგებლობის და ეთიკის საკითხებზე წარსდგნენ, უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები:

ნიკოლოზ ნაჭყებია - „უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთიკის საკითხებზე სოციოლოგიური კვლევის შედეგები“;

მარიამ ნიშნიანიძე - „ახალგაზრდობა და თავისუფლება“;

სანდრო გაგიშვილი - „პასუხისმგებლობა, წესრიგი და ახალგაზრდობა“;

ვერიკო ზაღათრიშვილი - „ზნეობის საკითხები ქართულ ლიტერატურაში“;

მარიამ კაპანაძე - „განათლება და აღზრდა ეთიკის ჭრილში“;

სალომე მეურმიშვილი - „სამართლისა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირი ეთიკასთან“;

კოზა ანთაძე - „იაპონიისა და ისრაელის გამოცდილება ეთიკურ ნორმებთან მიმართებაში“;

ელენე გიორგაძე - „რა გამოწვევების წინაშე დაგვაყენა კოვიდ პანდემიამ ეთიკის ჭრილში“;

ნინო გოცირიძე - „თსუ-სა და კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტური ეთიკის საკითხები“;

თამაზ მარიამული - „სორბონის უნივერსიტეტის აბუდაბის ფილიალის სტუდენტთა ქცევის წესები“;

კონფერენციის მონაწილეებს განსახილველად დაურიგდათ, პროექტის მონაწილეების მიერ შემუშავებული, ქართულ და ინგლისურ ენოვანი „უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ პროექტი.

კონფერენციაზე განხილულ საკითხებზე დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს დამსწრე საზოგადოებამ, კონფერენციის მონაწილეების გადაწყვეტილებით, სტუდენტის ეთიკის კოდექსის პროექტი განსახილველად დაეგზავნება უნივერსიტეტის სკოლების სტუდენტებს.

## Student Scientific Conference "Freedom and Responsibility in the Context of Student Ethics"

On December 22, 2023, at the "Professional Development Center" named after Professor Gela Bandzeladze of the Scientific Research Institute of Law and Criminology of the Grigol Robakidze University, the Organization of Special Consultant Status of the United Nations Economic and Social Council (ECOSOC) by the Research Institute of Law and Criminology of the University with the support of the Georgian Academy of Criminological Sciences Within the framework of the project, a scientific conference of students was held: "Freedom and responsibility in the context of student ethics". University students, academic staff and administration representatives, members of the Georgian Academy of Criminological Sciences took part in the conference.

Within the framework of the university project, a sociological survey of students was conducted anonymously, using the questionnaire method, in Georgian and English languages, with students of university schools, including the Batumi campus.

The participants of the conference honored the memory of the citizens who died at the University of Prague with a moment of silence.

The student conference was opened and the attending public was welcomed by the scientific leader of the project, the president of the Academy of Criminology Sciences of Georgia, the director of the Scientific Research Institute of Law and Criminology of the university, Professor **Malkhaz Badzaghua**.

The rector of Grigol Robakidze University, professor **Mamuka Tavkhelidze**, welcomed the participants of the student conference and expressed his gratitude for their interest in issues important to the university.

The conference was mediated by the head of the project, the university students' ombudsman, and law school student **Nikoloz Natchkebia.**

At the conference, the students of the law school of the university presented reports on the issues of freedom, order, responsibility, and ethics:

**Nikoloz Nachkibia** - „Results from sociological studies on ethical issues of university students".

**Mariam Nishnianidze** - "Freedom and youth";

**Sandro Gagishvili** - "Responsibility, order and youth";

**Veriko Baghatrishvili** - "Issues of morality in Georgian literature";

**Mariam Kapanadze** - "The connection between ethics and education";

**Salome Meurmishvili** - "The relationship between law, criminology and ethics";

**Koba Antadze** - "Experience of Japan and Israel about ethical norms";

**Elene Giorgadze** - "What challenges did the Covid pandemic present us in terms of ethics";

**Nino Gotsiridze** - "Student ethics issues of TSU and Caucasus University";

**Tamaz Mariamuli** - Sorbonne Abu Dhabi University and its Student Code of Ethics

The Georgian and English language "University Student Code of Ethics Project" developed by the project participants was distributed to the participants of the conference for consideration.

The attending public took part in the discussion on the issues discussed at the conference. According to the decision of the conference participants, the draft of the student code of ethics will be sent to the students of the university schools for consideration.



**ნიკოლოზ ნაჭყებია**
სტუდენტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა

**Nikoloz Natchkebia**
Student, Grigol Robakidze University School of law

## უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთიკის საკითხეზზე სოციოლოგიური კვლევის შედეგები

**საკვანძო სიტყვები:** *უნივერსიტეტი, სტუდენტთა ეთიკა, სოციოლოგიური კვლევა*

ალნიშნული სოციალური კვლევა შეისწავლის სტუდენტების დამოკიდებულებას გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტური ეთიკის კოდექსის მიმართ, რა პრობლემებს აწყდებიან სტუდენტები თავისუფლებასა და პასუხისმგებლობის კონტექსტში.

სტუდენტების გამოკითხვა ჩატარდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მიმდინარე პროექტის „თავისუფლება და პასუხისმგებლობა სტუდენტის ეთიკის კონტექსტში" ფარგლებში.

კვლევა იყო საჯარო და შეთავაზებული იქნა უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისათვის, კვლევა წარმოდგენილი იყო ორ ენაზე, ქართულად და ინგლისურად. გამოკითხვა ჩატარდა ანკეტირების მეთოდის გამოყენებით და გამოყენებული იქნა, როგორც ონლაინ პლათფორმა, ასევე უშუალო გამოკითხვის მეთოდიკაც.

კვლევა წარმოდგენილი იყო შეკითხვების სახით, თავდაპირველად შეკითხვები მიმართული იყო უნივერსიტეტის ეთიკის

კოდექსის მიმართ და ამ კოდექსისადმი სტუდენტების დამოკიდებულების გასარკვევად, შემდგომი კითხვები კი მიზნად ისახავდა გაეგო სტუდენტის დამოკიდებულება ეთიკასა და პასუხისმგებლობაზე.

პროექტის ფარგლებში სტუდენტთა ჯგუფის მიერ იწერებოდა სტუდენტური ეთიკის კოდექსის ახალი ვერსია, შესაბამისად საჭირო გახდა სოციალური კვლევის ჩატარება, რადგან გაგვერკვია სტუდენტების აზრი და მათი დამოკიდებულება, რადგან კვლევის შედეგად მიღებული შედეგების შესწავლის საფუძველზე ემუშავა ჯგუფს ზემოაღნიშნულ ეთიკის კოდექსზე.

სოციალური კვლევა არ ითხოვდა სტუდენტების არანაირ პერსონალურ მონაცემებს და ასევე დაცული იყო ანონიმურობის პრინციპი.

მოცემული სოციალური კვლევა შედგებოდა ჯამში 9 შეკითხვისგან, საიდანაც 5 შეკითხვა წარმოდგენილი იყო სავარაუდო პასუხებით, ხოლო 4 შეკითხვა ღია კითხვის სახით.

2023 წლის დეკემბერში უნივერსიტეტში გამოკითხული იქნა, როგორც თბილისის მთავარი კამპუსის ასევე ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტები და მათ შორის უნივერსიტეტის უცხოელი სტუდენტებიც. სულ გამოკითხული იქნა 453 სტუდენტი, რაც შეადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა 17,1 %.

სოციალური კვლევის პირველ შეკითხვას წარმოადგენდა, თუ რა ფაკულტეტზე სწავლობდა აღნიშნული სტუდენტი, რადგან ჩვენ გვჭირდებოდა ყოველი ფაკულტეტის ჩართულობა, სწორად ამიტომ გახდა საჭიროება, რომ აღნიშნული კითხვის წარმოდგენისა, რათა სამუშაო ჯგუფს გაეგო ყოველი ფაკულტეტის წარმომადგენელის დამოკიდებულება და აზრი. აღნიშნული კითხვის შედეგად გამოირკვა, რომ გამოკითხულთა 21,4 % შეადგენს სამართლის სკოლის სტუდენტები, 16,1 % სტომატოლოგიის სტუდენტები, 16,1 % შეადგენს ბიზნესის ფაკულტეტი (ადმინისტრირება, მენეჯმენტი, ფინანსები), 14,3 % დიპლომირებული მედიკოსები, 10,7 % საჯარო მმართველობა

და პოლიტიკის, 7,2 % ფსიქოლოგიის სტუდენტები, 7,1 % ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების სტუდენტები, 7,1 % ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები.

მეორე შეკითხვა იყო შემდეგი: იცნობთ, თუ არა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტურ ეთიკის კოდექსს. მოცემული შეკითხვა მიზანს წარმოადგენდა, რომ სამუშაო ჯგუფს გაეგო, თუ რამდენად ცნობადია სტუდენტური ეთიკის კოდექსი სტუდენტებისათვის, რადგან სამომავლოდ შეემუშავებინათ სწორი სტრატეგია და უზრუნველყოთ ახალი სტუდენტური ეთიკის კოდექსის გაცნობა ყველა სტუდენტისათვის. მიღებული პასუხების შედეგად დგინდება, რომ სტუდენთა 67,9% იცნობს, ხოლო 32,1% არ იცნობს სტუდენტურ ეთიკის კოდექსს.

დანარჩენ შეკითხვებზე სტუდენტი პასუხში არ იყო შეზღუდული, შეეძლო რამდენიმე პასუხის მითითება.

მესამე შეკითხვა მოიცავს ინფორმირებულობის საკითხს და ცდილობს დაადგინოს სტუდენტთა აზრი, თუ ვინ უნდა იცნობდეს სტუდენტურ ეთიკის კოდექსს, გამოკითხულ სტუდენტთა 10,7% მიაჩნია, რომ სტუდენტურ ეთიკის კოდექსს უნდა იცნობდეს მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტები, 3,6% მიაჩნია, რომ ამის შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს მხოლოდ აკადემიური პერსონალი, გამოკითხულთა 3,6%-ის აზრით აღნიშნულზე ინფორმირებული უნდა იყოს მხოლოდ ადმინისტრაციის თანამშრომლები, ხოლო სტუდენტთა უმრავლესობას, 92,9% მიაჩნია, რომ სტუდენტურ ეთიკის კოდექსს უნდა იცნობდეს, როგორც სტუდენტები, ასევე აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციის თანამშრომლებიც.

მეოთხე კითხვა აქტუალური გახდა სტუდენტების აზრთა სხვადასხვაობის გამო, კითხვა მდგომარეობს შემდეგში: როგორ გესმით თავისუფლების განმარტება საუნივერსიტეტო სივრცეში და მოიცავს შემდგომ პასუხებს: თავისუფალი ჩაცმის სტილი, ლექციაზე თავისუფალი დასწრება და მოქცევა, სტუდენტთა უფლებების და თავისუფლებების დაცვა, ყველა ზემოთ ჩამოთ-

ვლილთაგან, აღნიშნული კითხვა დაგვეხმარა გაგვეგო, თუ რა დამოკიდებულება აქვთ სტუდენტებს უნივერსიტეტის სივრცეში თავისუფლების მიმართ. სტუდენტთა 10,7 % მიაჩნია, რომ თავისუფლი ჩაცმის სტილი არის მათთვის თავისუფლება, 8,9 % ლექციაზე თავისუფალი დასწრება და მოქცევა, 66,1% მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, ხოლო 37,5 % მიაჩნია თავისუფლებად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი.

შეკითხვაზე, თუ რა პასუხისმგებლობები აქვს სტუდენტს, გამოკითხულ სტუდენტთა 42,9 % მიაჩნია აკადემიური მოსწრება, 55,4 % სტუდენტური ეთიკის კოდექსის დაცვა, 26,8 % საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობის მიღება, 76,8 % ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა, 1,8 % პრაქტიკული გამოცდილება, ხოლო 7,2 % მიაჩნია სტუდენტის პასუხისმგებლობათ ყველა აქ ჩამოთვლილთაგანი.

შემდეგი შეკითხვები წარმოდგენილია ღია კითხვების სახით და მეექვსე შეკითხვა მდგომარეობს შემდეგში, რა ეთიკური ნორმებიდან გადახრები გიშლით ხელს ლექციის მიმდინარეობისას. აღნიშნულ შეკითხვაზე სტუდენტების უმრავლესობას არ ჰქონია შენიშვნები, მაგრამ იყო გამონაკლისები, სადაც სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათ ხელს უშლის ხმაური, როგორც აუდიტორიაში, ასევე აუდიტორიის გარეთაც, ასევე მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ სტუდენტების არასერიოზული დამოკიდებულება ლექციისა და ლექტორების მიმართ. აღნიშნული შეკითხვა ჩვენს გუნდს ეხმარება, გაიგოს თუ რა პრობლემებს აწყდებიან სტუდენტები ლექცია/სემინარების მიმდინარეობისას, რათა შემდგომში მოხდეს აღნიშნული პრობლემების პრევენცია.

სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს ეთიკის კოდექსის ყველა ნორმები. დაწერეთ ეთანხმებით, თუ არა ამ მოსაზრებას და რატომ?

მოცემულ ღია კითხვაზე სტუდენტთა 95 % ჰქონდა დადებითი გამოხმაურება, მათ მიაჩნიათ, რომ მათივე უფლებების დასაცავად არის აუცილებელი, რომ ყველა სტუდენტი ემორჩილებოდეს

სტუდენტთა ეთიკის კოდექსს. მაგალითისთვის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ: აუცილებელია ეთიკის კოდექსის დაცვა, რადგან უნივერსიტეტში იყოს წესრიგი, დიახ ვეთახმები, რადგან ეთიკის კოდექსი სტუდენტებს თავიდან აარიდებს პრობლემებს უნივერსიტეტში, რადგან მივიღოთ სრულყოფილი განათლება და გვქონდეს ჯანსაღი ურთიერთობები და ა. შ. ზოგიერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ გააჩნია მათ რას სთავაზობს ეთიკის კოდექსი, ასევე ერთერთის აზრით შეუძლებელია ეთიკის კოდექსის სრულყოფილად დაცვა სტუდენტისათვის. ამ პასუხების შედეგად ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, შეგვემუშავებინა, რომ მარტივად გასაგები და აღსრულებადი სტუდენტთა განახლებული ეთიკის კოდექსი.

შემდეგ შეკითხვას წარმოადგენს, თუ სად გადის ზღვარი თავისუფლებასა და პასუხისმგებლობის შორის, მოცემული შეკითხვა მიზნად ისახავდა, რომ გაერკვია, თუ რა არის სტუდენტისთვის თავისუფლება და სად გადის მათთვის თავისუფლების ზღვარი, აღნიშნულზე ჩვენ მივიღეთ მრავალფეროვანი პასუხები, მაგალითად: თავისუფლებამ არ უნდა ზღუდავდეს სხვის უფლებებს, თავისუფლება ყველა ადამიანისთვის ინდივიდუალურია, ამიტომ იმის განსაზღვრა რთულია, პასუხისმგებლიანი სტუდენტი არის თავისუფალი და ამავდროულად ზის ეთიკის ნორმებში, თავისუფლება პირდაპირ კავშირშია პასუხისმგებლობასთან, რადგან პასუხისმგებლობა არ არსებობს თავისუფლების გარეშე, როგორც პირიქით. პასუხისმგებლიანი ადამიანი თავისუფალია, თუმცა სრულიად თავისუფალი ადამიანი არ არსებობს, რადგან ყველგან და ყველაფერში არსებობს და საჭიროა ზღვრები და ბარიერები და ა. შ. ამ კითხვაზე მიღებული პასუხების დამუშავების შედეგად ჩვენ შევძელით ოქროს შუალედის პოვნა სტუდენტების ეთიკის სავალდებულოდ შესასრულებელი ნორმების შემუშავებისას, რადგან უარყოფითი დამოკიდებულება არ წარმოქმნილიყო შემდგომ ეტაპებზე.

ბოლოო შეკითხვას წარმოადგენს: თქვენი აზრით რა კავშირშია თავისუფლება ეთიკის კოდექსთან ?

გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადად ეთიკის კოდექსი მოიცავს გარკვეულ შეზღუდვებს საჭიროა ამის ფაქიზად შემუშავება, რადგან არ მოჰყვეს უარყოფითი უკუკავშირი, ამიტომ ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ ეს სენსიტიური თემა ისე დაგვემუშავებინა, რომ სტუდენტებს უსამართლობის შეგრძნება არ გასჩენოდათ და ასევე არ ეფიქრათ, რომ მათი თავისუფლება იზღუდება, სწორად ამიტომ გახდა ამ კითხვის აუცილებლობა და ზუსტადაც ეს კითხვა დაგვეხმარა აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში.

## Results from sociological studies on ethical issues of university students

**Key words:** *university, student ethic, sociological studies*

This social research will study the students' attitude towards the student code of ethics in force at Grigol Robakidze University, and what problems students face in the context of freedom and responsibility.

The research was public and offered to all students of the university, the research was presented in two languages, Georgian and English. The survey was conducted using the questionnaire method and both the online platform and the direct survey method were used.

The research was presented in the form of questions, initially the questions were directed to the university's code of ethics to find out the students' attitude towards this code, and the subsequent questions aimed to understand the student's attitude towards ethics and responsibility.

The survey of students was carried out as part of the ongoing project at Grigol Robakidze University "Freedom and responsibility in the context of student ethics", within.

As part of the project, a new version of the student code of ethics was written by a group of students, therefore it was necessary to conduct a social survey, because we found out the opinions of students and their

attitudes, because based on the study of the results of the survey, the group worked on the above code of ethics.

The social survey did not ask for any personal data of the students and the principle of anonymity was also respected.

This social survey consisted of a total of 9 questions, of which 5 questions were presented with approximate answers, and 4 questions were open questions.

In December 2023, both the students of the main campus in Tbilisi and the representative office in Batumi were interviewed at the university, including foreign students of the university. A total of 453 students were interviewed, which is 17.1% of the university's students.

The first question of the social research was what faculty the said student studied at because we needed the involvement of every faculty, that's why it became necessary to present the said question so that the working group could understand the attitude and opinion of each faculty representative. As a result of the mentioned question, it was found that 21.4% of respondents are law school students, 16.1% are dentistry students, 16.1% are business faculty (administration, management, finance), 14.3% are medical graduates, 10.7% Public administration and politics, 7.1% psychology students, 7.1% journalism and mass communication students, 7.1% tourism faculty students.

The second question was the following: are you familiar with the student code of ethics of Grigol Robakidze University? The purpose of this question was for the working group to find out how well the student code of ethics is known to students, in order to develop the right strategy in the future and to ensure that the new student code of ethics is introduced to all students. As a result of the received answers, it is established that 67, 9% of students are familiar with, and 32,1% are not familiar with the student code of ethics.

The student was not limited to rest of the questions, so They could select more than one response.

The third question covers the issue of awareness and tries to determine the students' opinion about who should be familiar with the student code of ethics. 10.7% of the surveyed students believe that only

university students should be aware of the code of student ethics, and 3.6% believe that only university students should be informed about it. Academic staff, according to 3.6% of the respondents, only administration employees should be informed about this, and the majority of students, 92.9%, believe that both students and academic staff and administration employees should be familiar with the student code of ethics.

The fourth question became relevant due to the difference in students' opinions, the question is as follows: How do you understand the definition of freedom in the university space includes the following answers: free dress style, free attendance and behavior in lectures, protection of students' rights and freedoms, from all of the above, the mentioned question helped us to understand if What attitude do students have towards freedom in the university space? 10,7% of students believe that a free dressing style is freedom for them, 8, 9% free attendance and behavior at lectures, 66,1% protection of their rights and freedoms, and 37,5% believe all the above answers are freedom.

In response to the question of what responsibilities a student has, 42.9% of the interviewed students consider academic performance, 55.4% compliance with the student code of ethics, 26.8% participation in university activities, 76.8% compliance with contractual obligations, 1.8% practical experience, and 7,2% believe that all of the things listed here are the responsibility of the student.

The following questions are presented in the form of open questions and the sixth question is based on what deviations from ethical norms prevent you during the course of the lecture. The majority of students did not have any comments on this question, but there were exceptions, where students mentioned that they were disturbed by the noise both in the auditorium and outside the auditorium, and a small part mentioned the students' non-serious attitude towards the lecture and lecturers. This question helps our team to understand what problems students are facing during lectures/seminars so that these problems can be prevented later.

The student is obliged to comply with all norms of the code of ethics. Write whether you agree or disagree with this opinion and why.

95% of students had a positive response to this open question, they believe that in order to protect their rights, all students must obey the student code of ethics. For example, the students mentioned that: it is necessary to follow the code of ethics, because there is order in the university, yes, I agree, because the code of ethics will prevent students from problems in the university, because we will get a perfect education and have healthy relationships, etc. Sh. Some students mentioned that they have what the Code of Ethics offers them, and according to one of them, it is impossible for a student to fully follow the Code of Ethics. As a result of these responses, we have done our best to develop an updated Student Code of Ethics that is easy to understand and enforce.

The next question is where going limit freedom and responsibility Among them, the given question aimed to find out what freedom is for a student and where the border of freedom passes for them, we received a variety of answers to this, for example freedom should not limit the rights of others, freedom is individual for every person, therefore it is difficult to define, a responsible student is Free and at the same time sitting in the norms of ethics, freedom is directly related to responsibility, because responsibility does not exist without freedom, as vice versa. A responsible person is free, but there is no such thing as a completely free person, because it exists everywhere and in everything, and there is a need for limits and barriers, etc. Sh. As a result of processing the answers to this question, we were able to find a golden mean in the development of mandatory norms of student ethics, so that a negative attitude would not arise at later stages.

The last question is: in your opinion, what is the connection between freedom and the code of ethics?

Due to the fact that in general, the code of ethics includes certain restrictions, it is necessary to design it carefully, so as not to cause negative feedback, so we tried our best to handle this sensitive topic in such a way that students do not feel injustice and also do not think that their freedom is restricted, right That’s why this question became necessary and exactly this question helped us to solve the mentioned problem.



**მარიამ ნიშნიანიძე**
სტუდენტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა

**Mariam Nishnianidze,**
Student, Grigol Robakidze University School of law

## თავისუფლება და ახალგაზრდობა

**საკვანძო სიტყვები:** *თავისუფლება, ახალგაზრდობა, თავისუფლების შეზღუდვა.*

თავისუფლება სამოქალაქო განათლების ლექსიკონის მიხედვით, არის „ინდივიდუალური, ან კოლექტიური მდგომარეობა, რომელიც სხვადასხვა მოქმედებას შორის არჩევნის საშუალებას გულისხმობს, რაც ნიშნავს ადამიანის შესაძლებლობას, იმოქმედოს თავისი ნების შესაბამისად, ვინმეს მიერ, ან ვისიმე სახელით დაწესებული ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ამავე დროს ადამიანის ხელშეუხებლობასაც გულისხმობს". ადამიანის თავისუფლება მსოფლიოს მასშტაბით ყველა ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა რომელსაც უმეტესად უმაღლესი კანონი იცავს, მაგალითად საქართველოში ადამიანის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის, მე-13 მუხლით.

თავისუფლების კონცეფციის გაგებასთან დაკავშირებით მეცნიერებს შორის ყოველთვის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, თავისუფლება ოდითგანვე განიხილება როგორც სუბიექტური უფლება, მისი სრული აღწერა შეუძლებელია ნაშრომის ფარგ-

ლებში რადგან ყოველი ადამიანი მასთან დაკავშირებით გან-სხვავებულ აზრს დააფიქსირებს. როდესაც თავისუფლების გან-მარტებასა და მის აღწერაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ სტუარდ მილი, მან შექმნა ნაშრომი „თავისუფლების შესახებ“ სადაც საუბრობს თავისუფლების როგორც უფლების ორ გაგებაზე, ერთი - მოქმედების თავისუფლება, ხოლო მეორე - თავისუფლება როგორც იძულების არარსებობა. მოქმედების თავისუფლება შეგვიძლია განვიხილოთ როგორც უფლება, ადამიანმა თავის-უფლად იმოქმედოს მისი სურვილების შესაბამისად, ხოლო თა-ვისუფლების მეორე გაგება - იძულების თავისუფლება შესაძ-ლებელია განხილულ იქნას როგორც აკრძალვა, რომელიც ადამიანს უკრძალავს სხვა პირის თავისუფალი მოქმედების შეზღუდვას.

საზოგადოების აზრი ასევე იყოფა თავისუფლების შეზ-ღუდვის აუცილებლობასთან დაკავშირებით, მისი ერთი ნაწილი მიიჩნევს რომ თავისუფლების გარკვეულწილად შეზღუდვა სასარგებლოა მოსახლეობისთვის ხოლო მეორე - მას განი-ხილავს როგორც ადამიანის უფლებების შელახვას. ჩემი მო-საზრებით, თავისუფლების შეზღუდვა, სხვადასხვა კანონისა თუ მორალური წესებით საზოგადოებისათვის სასარგებლოა. სრულ თავისუფლებას თუ განვიხილავთ როგორც საზღვრების არ არსებობას, შეუძლებელი იქნება წესრიგის შენარჩუნება, მიმაჩნია რომ კანონების არ არსებობა და დღევანდელი გან-ვითარების მქონე ადამიანისთვის სრული თავისუფლების მი-ცემა პირველ რიგში ქაოსს გამოიწვევს, რომელიც შესაძლე-ბელია სამომავლოდ ანარქიაში გარდაიზარდოს. სწორედ ამ მოსაზრების მიმდევარი იყო ცნობილი ინგლისელი ფილო-სოფოსი ჯონ ლოკი, მისი აზრით, იქ სადაც არ არის კანონი ვერც თავისუფლება იარსებებს.

თავისუფლების მოსაპოვებლად ოდითგანვე იღწოდნენ სა-ხელმწიფოები მაგრამ აღსანიშნავია, ისიც რომ თავისუფლება

რომელიც, ეგრეთ წოდებულ „ძველ დროში“ საზოგადოებისთვის მისაღები და საკმარისი იყო დღესდღეისობით მოძველდა. სამყაროს განვითარებამ და ადამიანის აზროვნების გაფართოებამ შეცვალა საზოგადოების შეხედულობა თავისუფლებაზე და ამასთან ერთად მათი მოთხოვნებიც გაფართოვდა. ჩემი აზრით, თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, აღსანიშნავია რომ სახელმწიფოთა გარკვეულმა ნაწილმა ამ პრობლემის გადასაწყვეტად მართლმსაჯულებას მიმართა და საკუთარი კანონმდებლობა არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირთა უფლებების დასაცავად ნორმები დაამატა, ნორმები როგორიცაა თუნდაც მათი ქორწინების ლეგალიზაცია, რომელიც სხვადასხვა ქვეყანამ დაუშვა, როგორიცაა: ნიდერლანდები, ბელგია, ნორვეგია, პორტუდალია და ა.შ.

თავისუფლების არსებობის აუცილებლობაზე კამათი არასდროს ყოფილა, რადგან აღნიშნული საზოგადოდაა აღიარებული როგორც ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი და საკონსტიტუციო სამართალწარმოების იურისტი ვასილ ჟიჟიაშვილი საკუთარ სტატიაში საუბრობს თავისუფლების არსებობის აუცილებლობაზე ადამიანთა ცხოვრებაში, მას განიხილავს როგორ შესაძლებლობას ადამიანმა მიაგნოს მის ნამდვილ მეს და შეძლოს თვითგამორკვევა: „თავისუფლება არის ის გზა რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას აძლევს იპოვოს საკუთარი თავი. სხვა სიტყვებით, თავისუფლება არის ინსტრუმენტი, რომელიც აუცილებელი და საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ ინდივიდმა შეიცნოს საკუთარი თავი და გახდეს ის რაც არის“.

თავისუფლება არ უნდა განვიხილოთ როგორც მხოლოდ უფლება და შესაძლებლობა ადამიანისთვის, იგი ამასთან ერთად წარმოადგენს ჩვენს ცხოვრებაში ერთ-ერთ უდიდეს პასუხისმგებლობას. საკუთარი თავისუფლების დაცვის სურვილი

ადამიანის ბუნების ნაწილია, მაგრამ აუცილებელია, რომ ამის პარალელურად არ მოხდეს სხვა პირის უფლებებისა და თავისუფლების შელახვა, ჩვენ როგორც საზოგადოების ნაწილს უნდა შეგვეძლოს აღმოვაჩინოთ და შემდეგ დავიცვათ ე.წ. „ოქროს შუალედი“ საკუთარი თავისუფლების დაცვასა და სხვისი უფლების შეზღუდვას შორის. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ თავისუფლების მოპოვების განხილვა როგორც მხოლოდ მარწუხებიდან თავის დახსნა და გარშემო ყოველგვარი დაბრკოლებისა თუ გალავნის დანგრევა მხოლოდ ნეგატიურ შედეგს მოიტანს.

საბოლოოდ, თამამად შემიძლია გამოვთქვა ჩემი მოსაზრება, რომ თავისუფლება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან უფლებას ადამიანის ცხოვრებაში. იგი პირს athავისუფლებს სამყაროს მარწუხებიდან და შესაძლებლობას აძლევს აღმოაჩინოს საკუთარი თავი როგორც ინდივიდი. თავისუფლება საზოგადოებისთვის აღწერილია როგოც პირველი ნაბიჯები ბედნიერებისკენ, პირველი ნაბიჯები სრულყოფილი სამყაროს შექმნისკენ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ რომ სწორედ იმ თავისუფლებამ რომელიც სანატრელია ყველასთვის შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური შედეგი. სულიად საკმარისია პატარა გადაცდომა, ერთ-ერთი სამართლებრივად მაკონტროლებელი ნორმის ჩამოშლა რომ თავისუფლება სამყაროს სრულყოფის ნაცვლად მისი დანგრევისკენ გვიბიძგებს. ჩემი აზრით, შესაძლებლობა ვხედავდეთ და გვესმოდეს თავისუფლების როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური გავლენა და მისი სამომავლო შედეგები საშუალებას მოგვცემს სწორად შევაფასოთ თუ რა არის ის საოცნებო „თავისუფლება“ რისთვისაც ვიღწვით და რის მოპოვებასაც დროის სვლასთან ერთად უამრავი ადამიანი ეწირება.

## Freedom and youth

**Keywords:** *freedom, youth, restriction of freedom.*

Freedom, according to the Dictionary of Civic Education, is "an individual or collective condition that involves the ability to choose between different actions. It means the ability of a person to act according to his will without any restrictions imposed by or on behalf of anyone. At the same time, it also implies human inviolability".

Human freedom is one of the most important rights in all countries around the world, which is mostly protected by the highest law, for example, in Georgia, human freedom is protected by Article 13 of the second chapter of the Constitution of Georgia.

Regarding the understanding of the concept of freedom, there has always been a difference of opinion among scientists, freedom has always been considered a subjective right, its complete description is impossible within the scope of the paper because every person will have a different opinion about it. When we talk about the definition of freedom and its description, we must mention the English philosopher John Stuart Mill, he created the work "On Freedom" where he talks about two understandings of freedom as a right, one - freedom of action, and the other - freedom as the absence of coercion. Freedom of action can be considered as the right of a person to act freely according to his wishes, and the second meaning of freedom - freedom of coercion can be considered as a prohibition that prohibits a person from restricting the free action of another person.

The opinion of the public is also divided regarding the need to restrict freedom, one part of it considers that restricting freedom to a certain extent is beneficial for the population, while the other considers it a violation of human rights. In my opinion, the restriction of freedom by different laws or moral rules is beneficial for society. If we consider complete freedom as the absence of borders, it will be impossible to maintain order, I believe that the absence of laws and giving complete

freedom to a person with today's development will first lead to chaos, which may turn into anarchy in the future. The famous English philosopher, John Locke, was a follower of this opinion, in his opinion, where there is no law, there can be no freedom.

Since time immemorial, states have reached out to obtain freedom, but it is worth noting that the freedom that was acceptable and sufficient for society in the so-called "old days" has become obsolete today. The development of the world and the expansion of human thinking have changed society's view of freedom, and with it, their demands have also expanded. In my opinion, one of the most widespread problems in the modern world is the protection of the rights and freedom of people with different orientations, it is worth noting that a certain part of the states turned to justice to solve this problem and added norms to their legislation to protect the rights of people with non-traditional orientations, norms such as even legalizing their marriage. which was allowed by different countries, such as the Netherlands, Belgium, Norway, Portugal, etc.

There has never been a dispute about the necessity of the existence of freedom, because the said society is recognized as an integral part of life. Vasil Zhizhiashvili, a member of the Association of Young Lawyers of Georgia and a lawyer in constitutional proceedings, talks about the need for freedom in people's lives in his article. In other words, freedom is a tool that is a necessary and sufficient condition for an individual to know himself and become what he is.

Freedom should not be considered only as a right and opportunity for a person, it is also one of the biggest responsibilities in our life. The desire to protect one's freedom is a part of human nature, but the rights and freedom of another person mustn't be violated at the same time, we as a part of society should be able to find and then protect the so-called "golden mean" between protecting one's freedom and restricting the rights of others. That is why I believe that considering gaining freedom as only freeing oneself from oppression and tearing down any obstacles or fences around will only bring negative results.

Finally, I can confidently express my opinion that freedom is one of the most important rights in human life. It frees a person from the worries of the world and allows him to discover himself as an individual. Freedom is described to society as the first step to happiness, the first step to creating a perfect world, but we must not forget that the very freedom that is desired by all may lead to negative consequences. In spirit, a small mistake is enough, breaking one of the legally controlling norms, that freedom leads us to destroy the world instead of perfecting it. In my opinion, the opportunity to see and understand both the positive and negative impact of freedom and its future consequences will allow us to correctly assess what is the dream "freedom" that we strive for and that many people sacrifice to obtain as time goes by.

### გამოყენებული ლიტერატურა - References


1. www.nplg.gov.ge
2. ჯონ სტუარდ მილი - „თავისუფლების შესახებ", ლონდონი, 1958.
3. ვ. ჟიჟიაშვილი - „შეუზღუდო ადამიანს თავისუფლება ნიშნავს შეუზღუდო მას შესაძლებლობა აღმოაჩინოს საკუთარი თავი", თბ., 2020.



**სანდრო გაგიშვილი**
სტუდენტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა

**Sandro Gagishvili**
Student, Grigol Robakidze University School of law

## პასუხისმგებლობა, წესრიგი და ახალგაზრდობა

**საკვანძო სიტყვები:** *პასუხისმგებლობა, წესრიგი, ეთიკა, სამართლიანობა, სოციალური, კონტრაქტის თეორია.*

„პასუხისმგებლობა არის ადამიანის სულიერი მზაობა საკუთარი ქმედებები წარმართოს ზნეობრივი პრინციპების საფუძველზე და პირადად აგოს პასუხი მათ მოსალოდნელ შედეგებზე"

ჩვენ თუ ვეცდებით პოზიტიურად განვმარტოთ პასუხისმგებლობა, დავინახავთ, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა ეხმარება ადამიანს შეასრულოს დასახული ამოცანა, მიაღწიოს მიზნებს, განვითარდეს, იყოს საყრდენი საკუთარი ოჯახისა თუ ქვეყნის, მოიპოვოს ნდობა საზოგადოებაში, იყოს პროფესიონალი, შეიტანოს საკუთარი ღირსეული წვლილი საერთო სიკეთის კეთებაში. მეორე მხრივ, ადამიანი, რომელსაც პასუხისმგებლობის გრძნობა არც საკუთარი თავის და არც სხვის წინაშე არ გააჩნია, მსუბუქად რომ ვთქვათ, მოკლებულია ყველა ზემოთ ჩამოთვლილს.

„პასუხისმგებლობა - არის ადამიანის ფსიქოლოგიურ-ნებელობითი პიროვნული თვისება, რომელიც ვლინდება ადამიანის ქცევის კონტროლის განხორციელებაში და ნიშნავს მიზეზ-შედეგობრიობის გააზრებას."

არსებობს უამრავი თეორია, რომელიც განსხვავებულად ხსნის და წარმოაჩენს პასუხისმგებლობის მნიშვნელობას:

არისტოტელე „ნიკომაქეს ეთიკაში“ საუბრობს ეთიკის სათნოებაზე, როგორც ადამიანის უმაღლეს ღირებულებაზე. მისი აზრით, ჩვენ გაგვაჩნია პასუხისმგებლობა ჩვენი თავის წინაშე, რომ ჩვენს თავში განვასახიეროთ ისეთი სათნოებები, როგორიცაა პატიოსნება, გამბედაობა, სიბრძნე, სიკეთე, სიყვარული, სამართლიანობა, მოვალეობა, სინდისი და სხვა. პასუხისმგებლობის გრძნობის არსებობა, ხდის რეალურს, რომ ადამიანმა მოახერხოს საკუთარი პოტენციალის სრულყოფისკენ სწრაფვა.

იმანუელ კანტის დეონტოლოგიური ეთიკა პასუხისმგებლობას განიხილავს როგორც რაციონალურად მოქმედებას, მორალური პრინციპების შესაბამისად, მიუხედავად შედეგებისა. პასუხისმგებლიანი პირი არის ის, ვინც იცავს თავის მოვალეობებსა და ვალდებულებებს. ამგვარად, ვერ იარსებებდა რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც პასუხისმგებლობის გრძნობა არ გააჩნია.

ჯონ სტიუარტ მილი თავის ნაშრომში „უტილიტარიანიზმი და პასუხისმგებლობა“ ყურადღებას ამახვილებს დიდ სიკეთეზე დიდი რაოდენობისთვის. უტილიტარული თვალსაზრისით, პასუხისმგებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქმედებებთან, რომლებიც მაქსიმალურად ზრდის საერთო ბედნიერებას ან სარგებელს. პასუხისმგებელი პირები უნდა მოქმედებენ ისე, რომ ხელი შეუწყონ უმრავლესობის კეთილდღეობას. ეს პერსპექტივა მნიშვნელობას ანიჭებს შედეგობრიობას. შედეგების საფუძველზე კი უკვე ქმედებების შეფასება ხდება.

რასაკვირველია, თითოეულ თეორიაზე შესაძლებელია არგუმენტირებული კამათი დადებით და უარყოფით მხარეებზე. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში ისინი ადასტურებენ, რომ პასუხისმგებლიანი ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოება ქმნის ისეთ წესრიგს, რომელში თანაცხოვრებაც სასურველია.

წესრიგი - სამართლებრივი გაგებით, განასახიერებს ფუნდამენტური პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სამართლიანი და ორგანიზებული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის. საზოგადოდ, სამართლებრივი წესრიგი ეფუძნება მშვიდობისა და სამართლიანობის იდეის განხორციელების უზრუნველყოფას.

საქართველოს კონსტიტუციაში სამართლებრივი წესრიგის გარანტს წარმოადგენს „სამართლებრივი სახლემწიფოს" პრინციპი. შესაბამისად, საქართველო არის ქვეყანა, სადაც კანონი უზენაესია, სადაც ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები დაცულია, როგორც წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებები. „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი თანამედროვე გაგებით გულისხმობს, რომ სახელმწიფო უნდა იყოს სამართლიანი სამართლით შეზღუდული." როგორც საქართველოში, ასევე სხვა სახელმწიფოებში პრობლემატური საკითხია სამართლებრივი წესრიგის ეფექტურად შენარჩუნება, აღსრულების მექანიზმები.

საზოგადოებაში წესრიგის არსებობის უზრუნველყოფის იდეას ატარებს სოციალური კონტრაქტის თეორია - „შეთანხმება ინდივიდებს შორის, რისი მეშვეობითაც ისინი აყალიბებენ სახელმწიფოს, რათა თავიდან აიცილიონ „ბუნების სახელმწიფოს" უწესრიგობა და ქაოსი." აღნიშნულს სწავლობდნენ ისეთი ფილოსოფოსები, როგორებიც არიან თომას ჰობსი, ჯონ ლოკი და ჟან-ჟაკ რუსო. კითხვა, რომლის გარშემოც ისინი საკუთარ მიდგომებს აყალიბებნდენ იყო, თუ როგორ ინარჩუნებენ საზოგადოებები წესრიგს და სამართლიანობას. საზოგადოებაში, ინდივიდების პასუხისმგებლობაა დაიცვას სოციალური ხელშეკრულების პირობები, რაც მოიცავს კანონების მორჩილებას და საერთო სიკეთისთვის თანამშრომლობას. პასუხისმგებლობა აქ მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის კოლექტიურ ნებასთან, რაც ხელს უწყობს სოციალურ წესრიგს.

შეჯამებისთვის, აღვნიშნავ, რომ წესრიგის არსებობა იწყება ინდივიდუალურ დონეზე თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის

გააზრებით. მათ შორის ბალანსის დარღვევა ან რომელიმე მათგანის გამორიცხვა, აბრკოლებს ჯანსაღი განვითარების პროცესს. ამ კუთხით, უმნიშვნელოვანესია, საზოგადოებაში ცნობიერების სისტემატიური ამაღლება. ზედაპირული, ცალმხრივი წარმოდგენები უფლებებსა და თავისუფლებაზე ქმნის უსაფუძვლო მოლოდინებს, რაც გაურკვევლობასა და ქაოსს იწვევს. შესაბამისად, თუ სწორად გავიაზრებთ თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის განუყოფელ ურთიერთკავშირს, მაშინ ჩვენ მივიღებთ წესრიგს, რომელიც სწორი საწყისებით განწირული იქნება წარმატებისთვის.

## Responsibility, Order and Youth

**Keywords:** *accountability, order, ethics, justice, social contract theory.*

"Responsibility is the spiritual readiness of a person to guide his actions based on moral principles and personally answer for their expected consequences."

If we try to interpret responsibility positively, we will see that a sense of responsibility helps a person to fulfill the set task, achieve goals, develop, be a pillar of one's family or country, gain trust in society, be a professional, and make one's worthy contribution to the common good. On the other hand, a person who has no sense of responsibility, either to himself or to others, is, to put it mildly, lacking in all of the above.

"Responsibility is a psychological-volitional personality trait of a person, which is manifested in the implementation of control of human behavior and means the understanding of cause and effect."

Many theories explain and present the meaning of responsibility in different ways:

The idea of ensuring the existence of order in society is carried by the theory of the social contract "an agreement between individuals by which they form a state to avoid disorder and chaos in the state of

nature". Philosophers such as Thomas Hobbes, John Locke, and Jean-Jacques Rousseau studied this matter. The question around which they formed their approaches was how societies maintain order and justice. In society, it is the responsibility of individuals to uphold the terms of the social contract, which includes obeying laws and cooperating for the common good. Responsibility here is closely related to the collective will of the people, which contributes to social order.

Aristotle, in "Nicomachean Ethics" talks about the virtue of ethics as the highest human value. According to him, we have a responsibility to ourselves to embody such virtues as honesty, courage, wisdom, kindness, love, justice, duty, conscience, and others. Having a sense of responsibility makes it possible for a person to reach their full potential.

Immanuel Kant's deontological ethics views responsibility as acting rationally according to moral principles, regardless of consequences. A responsible person keeps his duties and obligations. Thus, there could not be a rationally thinking person who does not have a sense of responsibility.

John Stuart Mill, in his book "Utilitarianism and Responsibility" focuses on the greatest good for the greatest number. From a utilitarian perspective, responsibility is closely related to actions that maximize overall happiness or benefit. Those in charge must act to promote the welfare of the majority. This perspective gives importance to results. Actions are evaluated based on the results.

It is not surprising that each theory can be argued on both the positive and negative sides. However, in most cases, they confirm that a society of responsible people creates an order in which coexistence is desirable.

Order, in the legal sense, embodies a set of fundamental principles that are crucial for the functioning of a just and organized society. In general, the legal order is based on ensuring the realization of the ideas of peace and justice.

The guarantor of the legal order in the Constitution of Georgia is the principle of "rule of law". Accordingly, Georgia is a country where

the law is supreme, where human rights and freedoms are protected as inalienable and supreme human values. "The principle of the legal state in the modern sense implies that the state should be limited by just law." Both in Georgia and in other states, the effective maintenance of the legal order and enforcement mechanisms is a problematic issue.

To summarize, I note that the existence of order begins with an understanding of freedom and responsibility at the individual level. Disrupting the balance between them or excluding any of them hinders the process of healthy development. In this regard, it is very important to systematically raise awareness in society. Superficial, one-sided notions of rights and freedom create misguided expectations that lead to uncertainty and chaos. Accordingly, if we correctly understand the inseparable relationship between freedom and responsibility, then we will have an order that, with the right beginnings, is destined for success.

## გამოყენებული ლიტერატურა - References


1. ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი კურსი, მე-3 გამოცემა, თბ., 2004.
2. მალხაზ ბაძაღუა, პროფესიული ეთიკის საფუძვლები, თბ., 2018.
3. ჯონ სტიუარტ მილი, უტილიტარიზმი.
4. იმანუელ კანტი, მორალის მეტაფიზიკის საფუძველი.
5. არისტოტელე, ნიკომაქეს ეთიკა.
6. თომას ჰობსი, ლევიათანი.
7. საქართველოს კონსტიტუცია, თავი პირველი, მე-4 მუხლი. თბ., 2017
8. https://www.myadvokat.ge/ka/blog/10648/samartlebrivi-saxelmwifos-principis-mnishvneloba-da-misi-konstituciuri-reglamentacia-saqartvelos-konstituciebis-mixedvit
9. https://tabula.ge/ge/news/659325-pasukhismgebloba



**ვერიკო ბაღათრიშვილი,**
**სტუდენტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა**

**Veriko Baghatrishvili**
Student, Grigol Robakidze
University School of law

## ზნეობის საკითხები ქართულ ლიტერატურაში

**საკვანძო სიტყვები:** *ზნეობა, ეთიკა, ქართული ლიტერატურა, ვეფხისტყაოსანი.*

ზნეობა წარმოადგენს ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ და არეგულირებენ ადამიანის ცხოვრებას. იგი არის საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ადამიანის რეგულაცია. ზნეობა მოიცავს ადამიანთა მოღვაწეობის ყველა სფეროს წარმოებითი ურთიერთობებიდან დაწყებული სამართლებრივი, საფინანსო და საოჯახო ურთიერთობებით დამთავრებული. მის ნორმებსა და პრინციპებს გააჩნიათ საყოვლთაო მნიშვნელობა და ვრცელდება მთელ საზოგადოებაზე, იგი ქმნის ცივილიზაციათა მყარ საფუძვლევს, რომლებზედაც აგებულია კაცობრიობის ისტორია.

ზნეობა, უპირველეს ყოვლისა თავისუფალ არჩევნებზე დაფუძნებული ფენომენია, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ძალდატანებასა და იძულებას. ზნეობრივი შეგნება ან საქციელი მხოლოდ მაშინაა ეთიკური, როდესაც იგი შეუზღუდავი არჩევანის პირობებში ხორციელდება.

ძველი ქართული მწერლობა იდეალური ადამიანის, პიროვნების ზნეობრივი სრულყოფის წვდომის გზებს ეძებდა:

„ქრისტიანულმა კულტურამ იმთავითვე ადამიანთა პიროვნული სრულყოფის პრობლემები წამოწია და ზნეობრიობის ახალი კატეგორიები დაამკვიდრა. სასულიერო მწერლობაც სწორედ ამ გზით ვითარდებოდა და ადამიანის თავისებურ ესთეტიკურ იდეალს უყრიდა საფუძველს, მხატვრული აზროვნების ახალ სიმაღლეებს ეუფლებოდა“.

ჰაგიოგრაფიულმა მწერლობამ უარყო მითოსური იდეალები და ადამიანის პიროვნული ზნეობრივად სრულყოფის ახალ იდეალად ღმერთი აღიარა. უარყო ფიზიკური ძლიერების კულტი, იგი ახალი გმირის სულიერი სიძლიერით განისაზღვრა. ამგვარი იდეალური გმირის წარმოსახვას ისახავდა მიზნად „შუშანიკის წამება“, „აბოს წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და სხვა საეკლესიო-სასულიერო ხასიათის თხზულებები.

ადამიანის, პიროვნების სწრაფვა მაღალი ზნეობრივი იდეალებისაკენ, ჭეშმარიტ ზნეობრივ ღირებულებებზე ორიენტირება იყო „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა უპირველესი მიზანი. რუსთაველის რენესანსული შეხედულებები ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და ზნეობრივ იდეალებზე ასაზრდოებს ქართულ ლიტერატურას.

რუსთველის ეთიკური სისტემის ცენტრში, საპირისპიროდ ქრისტიანული მორალურ-ზნეიბრივი მოძღვრებისა დგას არა მხოლოდ ღმერთი, არამედ ადამიანიც, ამქვეყნიური ცხოვრება, ადამიანური იდეალები, რეალური ცხოვრების საუკეთესო მიზნები და მისწრაფებები, ამქვეყნიური, მიწიერი, მატერიალური გარემო, საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების რთული სინამდვილე. ესაა რუსთველის ზნეობრივი სისტემის ძირითადი ღერძი.

პოემის ეთიკური კონცეფციით სიკეთე ბედნიერებაში მდგომარეობს. მხოლოდ ეს ბედნიერება ადამიანური ნეტარებაა ამქვეყნიური ბედნიერებაა და არა მხოლოდ ღვთაებისკენ, როგორც სიკეთის უმაღლესი გამოხატულებისკენ სწრაფვა.

პოემა ამტკიცებს, რომ სიცოცხლე დიდი სიკეთეა, დიდი ბედნიერებაა.

ვეფხისტყაოსანშიც სიკეთის ანუ ბედნიერების გამოხატულების ძირითადი ფორმა არის სიყვარული. პოემის გმირთა მისწრაფება, მათი მოქმედების საბოლოო მიზანი ამქვეყნიური სიყვარულის გამარჯვებაა.პოემისთვის სიყვარული არის ამქვეყნიური ცხოვრების ყველაზე დიდი საუნჯე, რომლის წინაშეც უძლურია ყოველგვარი ბოროტება. სიყვარული არის გრძნობა, რომელიც აკავშირებს ადამიანებს, ერთი მიზნით რაზმავს მათ, შინაარსს აძლევს მიწიერ, ადამიანურ ყოფას, ამ გაგებით კი სიყვარული აერთიანებს მიჯნურებსაც და მეგობრებსაც.

თავისუფლება, სიყვარული და სიკეთე ზნეობის ფუნდამენტური ცნებებია, რომლებსაც სუბსტანციური, პირველხარისხოვანი დატვირთვა აქვთ,ზნეობის სტრუქტურაში და მათ გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი ეთიკური ქმედება თუ ნორმა.

ადამიანის ზნეობრივი იდეალებისადმი ყურადღება არ შენელებულა XIX ს-ის ქართულ მწერლობაშიც. ჯერ კიდევ XIX საუკუნის I ნახევარში ქართველმა რომანტიკოსებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს ამ პრობლემას.

ზნეობრივმა იდეებმა თერგდალეულთა სამოქმედო პროგრამაშიც პოვა ასახვა. მაღალი მორალური კატეგორიების, ზნეობრივი კანონების გარეშე ილიას ადამიანი არ მიაჩნია ადამიანად, პიროვნებად. ილია ჭავჭავაძის ზნეობრივი იდეალი მაცხოვარი და ქრისტიანობაა, ქრისტიანული მცნებები კი – უმაღლესი ფასეულობებია. ზნეობრივი, ზნესრული პიროვნების ძიება, სწრაფვა სრულყოფილებისაკენ ილიას შემოქმედების უმთავრესი პრინციპია. მან ნაწარმოებში „კაცია-ადამიანი?“ წარმოადგინა ისეთი ადამიანის ტიპი, რომელის მსგავსი ადამიანი არ უნდა იყოს. ლუარსაბ და დარეჯან თათქარიძეების ცხოვრების სტილი არის ზნეობრივი იდეალების ანტითეზა.

შესაძლებელია ყურადღება გავამახვილოთ ლავრენტი არდაზიანის შემოქმედებაზე ლექსი „ფულები“ შეიძლება ჩაითვა-

ლოს მისი რომანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ თავისებურ შესავალად. ამ ლექსში საუბარია ფულის მნიშვნელობასა და ძალაზე. არდაზიანი ფულს ახასიათებს:

უწესოდ გაჩენილი, ურიცხვთ დასამხობლად,
იუდას სისხლით სვრილო, ბოროტად სახმარებლად,
კაცთა ამპარტავნების ამწეო მეტად მაღლად,
მაგრამ ამასთან ეგრეთ კეთილს იქ დიად მრავლად.

არდაზიანს ფულის გაბატონება კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია,მაგრამ მასში ვერ ხედავს ზნეობრივ სისპეტაკეს.

ქართულ ლიტერატურაში უმნიშვნელოვანესია ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება. ხაზგასმით უნდა აღინიშოს, რომ მისი გმირები შეპყრობილნი არიან მძაფრი და ძლიერი ემოციებით. მათთვის უცხოა ნახევარ გზაზე შეჩერება, რადგან მათი სურვილები, ნებისყოფა და მოქმედება ერთ მთლიან ჯაჭვს შეადგენს. თუ მათი ვნებები წინააღმდეგობებში მათსავე ეთიკურ მრწამსთან, ეს წინააღმდეგობა შეურიგებელ ხასიათს იძენს და ტრაგიკული კატასტროფით მთავრდება.

„ხევისბერი გოჩას“ მთავარი ზნეობრივი ფორმულაა: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“. ეს გულისხმობს კერძო პიროვნების ზნეობრივ პასუხისმგებლობას საკუთარი თავის, მამის, წინაპრების, გვარის, თემის, ერის წინაშე. პასუხისმგებლობათა ველი პიროვნულობის ზრდასთან ერთად ფართოვდება და მთელ სამყაროში გაიშლება.

ვაჟა-ფშაველამ სტუმარ-მასპინძლობის აზრი და ადამიანსა და საზოგადოებას შორის არსებული პრობლემა გამოხატა. ასევე, მან განგვიმარტა პატრიოტიზმისა  და კოსმოპოლიტიზმის მნიშნველობა, ხოლო სიტყვები - „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“ - ქრესტომათიულ გამონაქვამად იქცა.

დიდი ადგილი უჭირავს მორალსა და ზნეობასთან დაკავშირებულ საკითხებს მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში. 1924 წელს გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა თავის 10 წლის ქალიშვილს - ქეთევან ჯავახიშვილს

ალბომში ჩაუწერა“ჩვენი დროის ათი მცნება“. მწერილის მიერ მომავალი თაობისათვის დატოვებული ეს შეგონება მარად უნდა გვახსოვდეს და ხშირად შევახსენოთ ჩვენს შვილებს.

მცნება პირველი „შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთადერთი წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი.“

მცნება მეორე: „შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი შენი პირადი მეგობარი.“

მცნება მესამე: „ყველაფერი რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, მას ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი.“

მცნება მეოთხე: „მიეცი მას წრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს.“

მცნება მეხუთე: „მაინც მუდმივ შენი თავის იმედი იქონიე, ისე იცხოვრე ვითომ ამ ქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი.“

მცნება მეექვსე: „განაგე თავი შენი და დაუმორჩილე გონებას შენი ჟინი, კერპი გული და ურჩი სურვილები.“

მცნება მეშვიდე: „გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით. ზარმაცობა ცუღლუტობაა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს ადრე თუ გვიან უეჭველად დაღუპავენ.“

მცნება მერვე: „სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს დაუჯერე ყველაფერი, იმათ შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ. ჯერჯერობით საკუთარ ჭკუას, ჟინს და გულის ზრახვას ნუ აჰყვები.“

მცნება მეცხრე: „თავმოყვარეობა შეიძინე და საკუთარი თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადააჭარბებ, არ გაამაყდე.„

მცნება მეათე: „ბოლოს და ბოლოს ყოველივეს სჯობია სამი რამ: პირველი შრომა, მეორე შრომა და მესამე შრომა.“

მიხეილ ჯავახიშვილის შემდეგ მორალისა და ზნეობის საკითხები აჩვენა ერთ-ერთმა გამორჩეულმა მწერალმა ჭაბუა ამირეჯიბმა. „დათა თუთაშხია“ - ამ რომანის ერთ-ერთი უმთავრე-

სი მიზანი არის ქართველი ერის სოციალური, მორალური და პოლიტიკური დინამიკის ჩვენება.

დასასრულ, ქართულ ლიტერატურაში ზნეობრივმა იდეამ მეტამოფროზა განიცადა. შუასაუკუნეების ლიტერატურამ უარყო ანტიკური იდეალები და ადამიანის პიროვნული ზნეობრივად სრულყოფის ახალ იდეალად ღმერთი აღიარა. უარყო ფიზიკური ძლიერების კულტი, იგი ახალი გმირის სულიერი სიძლიერით განისაზღვრა. რუსთველმა კი ადამიანი დააყენა სამყაროს ცენტრში. პოემის ეთიკური კონცეფციით სიკეთე ბედნიერებაში მდგომარეობს. მხოლოდ ეს ბედნიერება ადამიანური ნეტარებაა ამქვეყნიური ბედნიერებაა და არა მხოლოდ ღვთაებისკენ, როგორც სიკეთის უმაღლესი გამოხატულებისკენ სწრაფვა, ზნეობრიობის საფუძვლად კი თავისუფლება, სიყვარული და სიკეთე გამოაცხადა. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებში „კაცია-ადამიანი?!“ ლუარსაბ და დარეჯან თათქარიძეების ცხოვრების სტილი არის ზნეობრივი იდეალების ანტითეზა. „ხევისბერი გოჩას“ მთავარი ზნეობრივი ფორმულაა: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“. ეს გულისხმობს კერძო პიროვნების ზნეობრივ პასუხისმგებლობას საკუთარი თავის, მამის, წინაპრების, გვარის, თემის, ერის წინაშე. მიხეილ ჯავახიშვილიმა 10 ძირითადი მცნება ჩამოქნა. ქართული ლიტერატურის ზემონახსენბმა შედევრებმა საზოგადოების რეალური ცხოვრების ეთიკაშიც ჰპოვა გამოხატულება, ჩვენს თანამედროვე ეპოქაშიც ხშირად შევხვდებით ამ ნაწამოებების მთავარ აზრებს ადამიანების მიერ ამეტყველებულს. ამ იდეებმა ქართულ სასაუბრო ენაში დაიმკვიდრა თავი, ფრაზა - „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“ ან რუსთველის აფორიზმები, ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“, ზეპირმეტყველებას შეესისხლხორცა, რაც თანამედროვე ენის ბუნებრივ ნაწილად იქცა. ისინი ცხოვრების ფასეულობების ძიებაში დაკარგულ სამშვინველებს ზნეობრივ შუქურად წარმოუჩნდებიან.

## Issues of morality in Georgian literature

**Keywords:** *Morality, Ethics, Georgian Literature, The Knight In The Panther Skin*

Morality represents norms and principles a combination of which arrange and regulate humans to live it is a public consciousness shape, Which through it carries out human Regulation. Morality includes people's activities in all spheres productive from relationships starting with Legal, financial, and family relationships. her norms and principles have Universal meaning and apply throughout society, it creates civilizations solid It is based on what is built in humanity's History.

morality _ First of all everything free at the elections based on is a phenomenon which excludes in any way to force and to force. moral Consciousness or behavior only It is then ethical when unlimited choice conditions are carried out old Georgian writing ideal of a person, a person moral perfection access roads Searched for: " Christian Culture the same of people personal perfection problems raised and morality new categories established. clerical writing too right this by way of was developing and human's peculiar aesthetic the ideal was throwing The basis, artistic of thinking new heights owned".

Hagiographic writing rejected mythical ideals and human moral perfection ideally God admitted. rejected physical strength Cult, its new hero spiritual with strength was determined. This kind of thing ideal hero's imagination is reflected with the aim of " Shushaniki". Torture ", " Abos Torture ", " Grigol of Fire Life ", " Serapion of Zarzmeli Life" and other Ecclesiastical - religious character works.

of a person, a person to study high moral To ideals, true morally on values orientation He was one of the heroes of " Tigerskin ". the first goal of the Rustaveli Renaissance views general public values and moral ideals to nurture Georgian literature.

In the center of Rustveli's ethical system, contrary to Christian moral and ethical teachings, there is not only God but also man, worldly life,

human ideals, the best goals and aspirations of real life, the mundane, earthly, material environment, the complex reality of the material and spiritual life of society. This is the main axis of Rustveli's moral system.

According to the ethical concept of the poem, goodness lies in happiness. Only this happiness is human bliss, worldly happiness, and not only the aspiration to God as the highest expression of goodness. The poem proves that life is a great good, a great happiness.

The main form of expression of goodness or happiness in the tiger is also love. The aspiration of the heroes of the poem, the ultimate goal of their actions is the victory of worldly love. For the poem, love is the greatest source of worldly life, before which all evil is powerless. Love is a feeling that connects people, unites them for one purpose, and gives content to earthly, human existence, and in this sense, Love unites loved ones and friends.

Freedom, love, and kindness are fundamental concepts of morality, which have a substantial, first-class load in the structure of morality, and without them, any ethical action or norm is unthinkable.

Attention to human moral ideals did not slow down in the Georgian writing of the 19th century. Even in the first half of the 19th century, Georgian romanticists gave an important place to this problem.

Moral ideas were also reflected in the action program of the Tergdale people. Without high moral categories and moral laws, Ilya does not consider a person to be a person, a person. The moral ideal of Ilia Chavchavadze is the Savior and Christianity, and Christian commandments are the highest values. The search for a moral, moral personality, and striving for perfection is the main principle of Ilya's work. In the work "Man-Man?", he presented a type of person that no one should be like. The lifestyle of Luarsab and Darejan Tatkaridze is the antithesis of moral ideals.

It is possible to focus on Lavrenti Ardaziani's work. The poem "Money" can be considered a peculiar introduction to the novel "Solomon Isakich Mejghanuashvili". This poem talks about the meaning and power of money. Ardaziani characterizes money:

Irregularly born, you are counted to be overthrown,

With the blood of Judas, to help the wicked,
The lifter of men's pride to the highest,
But at the same time, there is a lot of good there.

Ardaziani considers the dominance of money to be a legitimate phenomenon, but he does not see a moral conflict in it.

The work of Alexander Kazbegi is the most important in Georgian literature. It should be emphasized that his characters are obsessed with intense and strong emotions. It is strange for them to stop halfway because their desires, willpower, and actions form a whole chain. If their passions conflict with their ethical convictions, this contradiction acquires an irreconcilable character and ends in a tragic catastrophe...

The main moral formula of "Khevisberi Gotcha" is: "Remember whose mountain you belong to". This implies the moral responsibility of a private person to himself, his father, his ancestors, his family, his community, and his nation. The field of responsibilities expands with the growth of the personality and extends to the whole world.

Vazha-Pshavela expressed the idea of guest hospitality and the existing PROBLEM between man and society. Also, he explained to us the meaning of patriotism and cosmopolitanism, and the words - "Why do you need to be an enemy to the bad, it is always good to be an enemy", became a catchphrase.

Issues related to morals and morality occupy a great place in the work of Mikheil Javakhishvili. In 1924, the prominent Georgian writer Mikheil Javakhishvili wrote the "Ten Commandments of our Time" to his 10-year-old daughter Ketevan Javakhishvili in an album. We should always remember this admonition left by the writer for the future generation and remind our children often.

The first commandment is "you are Eternal, inseparable, and the only one member and Worker your parent of Georgia."

commandment Second: "Your homeland enemy yours personal is an enemy, while his friend is your personal friend."

commandment Third: "Everything which you have and You will

have your Life too Yes, him belongs. you are his permanent debtor and Inseparable son."

commandment Fourth: " Give it ." him square with heart everything and that too will give you of everything."

commandment Fifth: " At least constant yours his hope Have it, well live as if this in the country neither debtor you have and neither savior. "

commandment Sixth: "Government. head yours and obey the mind yours Jin, an idol the heart and unruly wishes."

commandment Seventh: " Road research and victory are possible only with labor and with honesty Laziness It's bullshit, it's a lie and forgery to a person early If late Undoubtedly They will kill. "

commandment Eighth: " Until own on your feet no Stand up for me, parents believe me Everything, them for you only goodness they want yet own to wit, genius and of the heart the intention don't I follow you. "

commandment Ninth: " Self-respect buy it and own his the price Learn, but don't Don't overdo it make me proud "

commandment Tenth: " Finally and At the end of everything It's better Three Ram: First Work, second hard work, and the third work ."

After Mikheil Javakhishvili, one of the outstanding writers Chabua Amirejib showed the issues of morality and ethics. One of the main goals of this novel by Data Tutashkhia is to show the social, moral, and political dynamics of the Georgian nation.

Finally, the moral idea underwent a metamorphosis in Georgian literature. The literature of the Middle Ages rejected the ancient ideals and recognized God as the new ideal of human personal moral perfection. Rejecting the cult of physical strength, he was defined by the spiritual strength of the new hero. And Rustveli put man at the center of the universe. According to the ethical concept of the poem, goodness lies in happiness. Only this happiness is human bliss, worldly happiness, and not only striving towards God as the highest expression of goodness, he declared freedom, love, and goodness as the basis of morality. The lifestyle of Luarsab and Darejan Tatkaridze is the antithesis of moral

ideals in Ilia Chavchavadze's work "A person is a person?!" The main moral formula of "Khevisberi Gotcha" is: "Remember whose mountain you belong to". This implies the moral responsibility of a private person to himself, his father, his ancestors, his family, his community, and his nation. Mikheil Javakhishvili brought down 10 basic commandments. The above-mentioned masterpieces of Georgian literature found expression in the ethics of the real life of the society, in our modern era, we will often meet the main thoughts of these tortures spoken by people. These ideas established themselves in the Georgian colloquial language, the phrase "Remember whose mountain you are from" or Rustveli's aphorisms, Vazha-Pshavela's words: "Why does the bad need to be an enemy, it is good to always be an enemy", became oral speech, which became a natural part of the modern language. They will appear as a moral beacon to those who are lost in search of the values of life.

### გამოყენებული ლიტერატურა - References


1. მალხაზ ბაძაღუა, პროფესიული ეთიკის საფუძვლები, თბ., 2018.
2. მანანა კუპატაძე, დისერტაცია „მორალი, ზნეობა და სამართალი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში“, თელავი, 2015.
3. ელგუჯა ხინთიბაძე, ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედვე-ლობითი სამყარო. თბ., 2009.
4. ლავრენტი არდაზიანი, ლექსი „ფულები“, რომანი „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.
5. ვაჟა-ფშაველა, ალუდა ქეთელაური.
6. მიხეილ ჯავახიშვილი, ჩვენი დროის ათი მცნება.
7. https://tesau.edu.ge/failebi/humanitaruli/Manana%20%20%20%20%20%20Kupatadze.pdf
8. http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/index/saskolo/mosazreba/pirovneba_da_%20moraluri.htm
9. https://e-learning.tsu.ge/pluginfile.php/273645/mod_resource/content/2/361-395.pdf



**მარიამ კაპანაძე**
სტუდენტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა

**Mariam Kapanadze**
Student, Grigol Robakidze University School of law

## ეთიკის და განათლების კავშირი

**საკვანძო სიტყვები:** *განათლება, ეთიკა, სწავლა, ბაღი, სკოლა*

ეთიკა და განათლება, ეს არის ცნებები, რომლებიც გაერთიანებულია ადამიანის ირგვლივ, განათლება გვიჩვენებს გზას, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რაც შემოთავაზებულია რეგულაციებში, ხოლო ეთიკა გვკარნახობს როგორ უნდა მოვიქცეთ კონკრეტულ სიტუაციებში.

ეთიკას ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და საინტერესოა, რომ ის არ ყოფილა განათლებისგან გამიჯნული, მეტიც ძველ ქართულ ლიტერატურაში ჩვენ შევხბდებით უამრავ მაგალითს, რომელიც ადასტურებს, რომ ეთიკის სწავლება სკოლის ასაკიდან იწყებოდა. მაგალითად გელათის და იყალთოს აკადემია, სადაც გარდა ჩვეულებრივი სასწავლო პროგრამისა ეთიკური ნორმები ისწავლებოდა, სწორედ ამიტომ ბავშვს თავიდანვე უყალიბებდნენ სწორ ღირებულებებს. ისტორიის ყოველ ეტაპზე ქვეყნის მმართველები, განმანათლებლები თუ სხვანი ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ ეთიკის როლი საზოგადოებაში, სწორედ ამიტომ დაიწყეს მასიურად საგანმანათლებლო სივრცეებში ეთიკის სწავლება.

ვთვლი, რომ ეთიკისა და განათლებისთვის მნიშვნელოვანი პერიოდი იყო მე-XIX საუკუნე. ამ პერიოდში მოღვაწე ქართველი მწერალი აკაკი წერეთელი ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი“ ყვება, რომ აღსაზრდელად და პირვანდელი განათლების მისაღებად მშობლებს გლეხის ოჯახითვის მიუბარებიაა ეს მდგომარეობა მთელი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა და თავადები სწორედ, რომ გლეხის ოჯახს აბარებდნენ ხოლმე თავიანთ შვილებს . აქ მნიშვნელოვანია მათი მიზანი, ვინაიდან ამ ქმედებას საფუძვლად ედო თავიანთი შვილებისთვის სწორი, ღირსეული, ეთიკური პრინციპების ჩამოყალიბება. გლეხის ოჯახში ისინი არამარტო წერა-კითხვას არამედ იმ მაღალ მატერიებს სწავლობდნენ რაც ეთიკის პრინციპებს წარმოადგენს: ოჯახის სიყვარული, ღირსება, მორალი, სიკეთე, სხვების პატივისცემა ეს ეთიკური ღირებულებათა ის მცირე ჩამონათვალია რასაც იმ დროისთვის ბავშვი განათლებასთან შერწყმით იღებდა და შემდეგ მაღალ საზოგადოებას ამ ღირებულებებით გამსჭვალული უბრუნდებოდა. იმ დროისთვის ეს უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან ეთიკა ჩანს ჩვენ ყოველდღიური ცხოვრების ყველა მოქმედებაში, გადაწყვეტილებასა და ქცევაში, როგორც ჩვენ ვიქცევით, სამსახურში, სკოლაში.

მორალური განათლება ეს არის სასწავლო პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებსა და მოზარდებს სკოლის საზოგადოებაში გაიგონ, ივარჯიშონ და იზრუნონ ფუნდამენტურ ეთიკურ ღირებულებებზე, როგორიცაა პატივისცემა, სამართლიანობა, სამოქალაქო სათნოება და მოქალაქეობა და პასუხისმგებლობა საკუთარი თავის და სხვების მიმართ. სწორედ ამიტომ ეთიკა განათლებასთან მუდმივ კავშირშია.დღეს ყველა სასწავლო დაწესებულებაში არსებობს ეთიკის კოდექსები,რომლებიც ასევე განსაზღვრავენ ეთიკურ ქცევებს არამარტო მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისთვის, არამედ მასწავლებლებისა და ლექტორებისთვის. ამასთან, ვთვლი, რომ სკოლებში ზოგიერთ საგანში, მაგალითად ქარ-

თულ ენასა და ლიტერატურაში ან სამოქალაქო განათლებაში ინტეგრირებულია ეთიკური ნორმები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლი, რომ განათლება და ეთიკა ერთმანეთის განუყოფელი ნაწილია.

## The connection between ethics and education

**Keywords:** *Education, ethics, learning, kindergarten, school*

These are the ideas of ethics and education that center on the individual; ethics prescribes how we ought to act in particular circumstances, while education demonstrates how we can accomplish the goals outlined in rules.

Since the beginning of time, ethics has been accorded considerable importance. Interestingly, ethics and education have not been separated; in fact, the old charter literature contains numerous examples that demonstrate how ethics education began at the school age. For instance, children were raised with the proper ideals from birth at the Academy of Gelati and Ikalto, where moral principles were taught in addition to the usual curriculum. Throughout history, the nation's leaders, educators, and others have worked to strengthen the position of ethics in society, which is why they have heavily emphasized ethics instruction in schools.

The 19th century, in my opinion, was a crucial time for ethics and education. Akaki Tsereteli, Georgian writer from this era, describes in "My Adventure" how parents sent their kids to a peasant household for primary schooling and upbringing. Since the foundation of this activity was laying down proper, moral, and ethical values for their children, their objective is significant in this context. In addition to learning to read and write, the peasant's family taught them high moral standards such as

kindness, morality, respect for others, family love, and dignity. It was crucial at the time because ethics permeates every choice we make, every action we take, and every way we act in our daily lives, at work, and in our educational pursuits.

Moral education is a process of learning that gives adults and students in the school community the ability to comprehend, uphold, and care for basic ethical principles including justice, civic virtue, respect, and accountability to oneself and others. For this reason, ethics and education are always related. These days, all educational establishments have codes of ethics that specify moral conduct for instructors, lecturers, and students alike. Furthermore, I think that some academic subjects like civics education or Georgian language and literature integrate ethical standards. Considering everything mentioned above, I think ethics and education go hand in hand.

### გამოყენებული ლიტერატურა - References


1. აკაკი წერეთელი, ჩემი თავგადასავალი.
2. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, თბ., 1982 .
3. წიგნობრობა ქართული: ტ. 15, სასულიერო მწერლობა, წგ. 1, თბ., 2013.
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №57/ნ 2010 წლის 14 ივლისი. „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“.



**სალომე მეურმიშვილი**
სტუდენტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა

**Salome Meurmishvili**
Student, Grigol Robakidze University School of law

# სამართლისა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირის აუცილებლობა ეთიკასთან

**საკვანძო სიტყვები:** *სამართალი, კრიმინოლოგია, ეთიკა, ქცევის წესები.*

ეთიკა როგორც ფილოსოფიური მეცნიერება არის ზნეობის, ადამიანური ურთიერთობების, ქცევის წესების, ნორმების ერთობლიობა, რომელიც მჭიდრო კავშირშია როგორც სამართალთან ასევე კრიმინოლოგიასთან

განვიხილოთ სამართლის ურთიერთკავშირი ეთიკასთან, სამართალსა და ეთიკას შორის მნიშვნელოვანი მსგავსება ის არის, რომ ორივე წარმოადგენს ქცევის ზოგადი წესების ერთობლიობას და ორივე დიდ როლს ასრულებს წესრიგის დამყარებაში. სამართალი ზნეობისგან განსხვავდება, რადგან სამართალი არის კოდიფიცირებული სისტემა, სადაც ყველა დეტალი და სამოქმედო გეგმა არის გაწერილი. ზნეობას ცალსახად არ აქვს მსგავსი კოდიფიკაციური სახე, იგი წარმოიქმნება საზოგადოების წიაღიდან, ტრადიციებიდან და ჩვეულებებიდან. ეთიკური ღირებულებებით განვსაზღვრავთ თუ რა არის მართებული და რა არა, რაც თავისმხრივ მჭიდრო

კავშირშია წესრიგთან, პასუხისმგებლობასთან, როგორც საკუთარი თავის მიმართ ასევე სხვასთან მიმართებაში. ეთიკა ხაზს უსვამს ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა: კარგი და ცუდი, სწორი და არასწორი, მისაღები და მიუღებელი...

სამართლებრივი ნორმები იცვლებიან პოლიტიკური, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციულ ცვლებთან ერთად, ხოლო ზნეობრივი ნორმები ზოგადსაკაცობრიოა.

სამართალი არის ქცევის ზოგადი წესების ერთობლიობა, რომელიც დადგენილი და სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ და მათი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით.

ეთიკური პრინციპების დაცვით და პროფესიული ქცევის გამოვლენით, პირებს, რომლებიც ჩართულნი არიან მართლმსაჯულების სისტემაში, მაგალითად: პროკურატურაში, სასამართლოში და სხვა. შეუძლიათ უზრუნველყონ სამართლიანობა და საზოგადოების ნდობა სისტემის მიმართ.

როგორც ვხედავთ სამართალსა და ეთიკას შორის არის მსგავსებაც და განსხვავებაც, ამისდა მიუხედავად ეთიკური ნორმების გათვალისწინებით ავიმაღლებთ ცნობიერებას იმდენად, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების განმსაზღვრელად სწორედ ეს გამოვიყენოთ.

რაც შეეხება კრიმინოლოგიისა და ეთიკის კავშირს ეს უფრო ფართო მცნებაა.

კრიმინოლოგია არის დანაშაულობის, მისი მიზეზების, დამნაშავის პიროვნების, დანაშაულობის თავიდან აცილების მეთოდების და საშუალებების შემსწავლელი მეცნიერება. აქედან გამომდინარე იგი მჭიდრო კავშირშია ზუსტ საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან, მათ შორის ეთიკასთან. კრიმინოლოგია და ეთიკა ზოგადად საზოგადოებრივი ინტერესის მატარებლები არიან.

ეთიკის შესწავლა მოიცავს ადამიანის ზნეობას, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს და მოიცავს ყველა სფეროს,

პირველ რიგში ოჯახს, სამეგობრო წრეს, პროფესიას და ა.შ...  ეს არის ერთგვარი წინაპირობა იმისა, რომ ადამიანებში პასუხისმგებლობის გრძნობა ერთმანეთის მიმართ იყოს ზნეობრივად მაღალ დონეზე.

კრიმინოლოგიაში დანაშაულის შესწავლა, ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე დაკვირვება გარდაუვალია ეთიკის ნორმების გათვალისწინების გარეშე.

კრიმინოლოგიაში დანაშაულობის ჩამდენ პირს ფართო მნიშვნელობა აქვს. დანაშაულობის ჩამდენი პირი ყველაზე სრული სახით დანაშაულის ჩადენის მომენტში წარმოგვიდგება და  მის პირად ზნეობრივ მახასიათებლებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამის მიხედვით დავადგენთ თუ რამ განაპირობა დამნაშავის მიერ ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენა. მისი საქციელის მიხედვით პასუხი გაეცემა თუ რა დამოკიდებულება აქვს ეთიკის ისეთ კატეგორიებთან, როგორიცაა სიკეთე, მოვალეობა, პატრიოტიზმი, ღირსება, სამართლიანობა, სინდისი, პასუხისმგებლობა....

ეთიკისა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირის განვითარება ხელს შეუწყობს დანაშაულობის აღმოფხვრას, რაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და საკეთილდღეო ამოცანაა.  დანაშაულობის თავიდან აცილებაში დიდ როლს ასრულებს პროფესიული ეთიკა, ვინაიდან მის კატეგორიებში არის ისეთი ხელჩასაჭიდი ბერკეტები, როგორიცაა - პასუხისმგებლობა, მოვალეობა და სინდისი. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, როდესაც დასაქმებულმა იცის თავისი მოვალეობები, ქცევის წესები და ზნეობრივი ფასეულობები ეს ფაქტორები მოქმედებს შესრულებული მოვალეობის ხარისხზე.  პროფესიული ეთიკა დანაშაულობის აღმოფხვრაში დიდ როლს ასრულებს. ეთიკური პრევენცია თავის ამოცანებს წყვეტს პედაგოგიური-ეთიკური კატეგორიებით, როგორიცაა განათლება, აღზრდა, სწავლება და განვითარება. ეს არის ის

გასაღები, რითაც შესაძლებელია დასახული ამოცანები განხორციელდეს სწორად, ეფექტურად და სამართლიანად.

ჰიპოკრატემ განსაზღვრა ეთიკური სტანდარტები სამედიცინო პრაქტიკისთვის. გარდა მისი ცნობილი აღთქმისა („პირველ რიგში, ნუ დააშავებ“), ("First, do no harm") მან ხაზი გაუსვა კეთილგანწყობის, არაბოროტმოქმედების, ავტონომიისა და სამართლიანობის პრინციპებს. სიკეთის კეთების, ზიანის მიუყენებლობის ეს სტანდარტები, საშუალებას გვაძლევს პირველ რიგში როგორც ჯანდაცვის, ასევე სამართლისა და კრიმინოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის ფარგლებში მყარი პროფესიული საძირკველი გვქონდეს.

## The relationship between law, criminology, and ethics

**Keywords:** *law, criminology, ethics, rules of conduct.*

Ethics as a philosophical science is a set of morals, human relations, rules of conduct, and norms, which is closely related to both law and criminology

. in the establishment. Law is different from morality because law is a codified system where every detail and action plan is spelled out. Morality does not have a unique codification form, it arises from the essence of society, traditions, and customs. Ethical values determine what is correct and what is not, which in turn is closely related to order, and responsibility, both towards oneself and towards others. Ethics emphasizes such values as good and bad, right and wrong, acceptable and unacceptable...

Legal norms change along with political, and socio-economic formative changes, while moral norms are universal.

Law is a set of general rules of conduct established and sanctioned by the state, and their fulfillment is ensured by state coercion.

By adhering to ethical principles and demonstrating professional behavior, individuals involved in the justice system, such as prosecutors, courts, etc., can ensure justice and public confidence in the system.

As we can see, there are similarities and differences between law and ethics, despite this, taking into account ethical norms, we will raise awareness to the extent that we can use this to define public relations.

As for the connection between criminology and ethics, this is a broader commandment.

Criminology is the study of crime, its Reasons, the offender's personality, crime at first avoidance methods, and means the learner Science. Therefore, it is closely related to the natural sciences and humanities, including ethics. Criminology and ethics are generally of public interest.

The study of ethics includes human morality, which regulates relationships and includes all areas, first of all, family, friendship circle, profession, etc... This is a kind of prerequisite for people's sense of responsibility towards each other to be at a moral high level.

In criminology, the study of crime, the observation of anti-social behavior is unavoidable without considering the norms of ethics.

In criminology, a person who commits a crime has a wide meaning. The person who committed the crime presents himself to us in the most complete form at the moment of committing the crime. In criminology, the moral characteristics of a person who commits a crime are of great importance, because based on this, we will determine what caused the offender to commit such an anti-social act. According to his behavior, the answer will be given to his relationship with such categories of ethics as kindness, duty, patriotism, dignity, justice, conscience, and responsibility....

The development of the relationship between ethics and criminology will contribute to the elimination of crime, which is an important and beneficial task for society. Professional ethics plays a big role in crime prevention since in its categories there are such tangible levers as - responsibility, duty, and conscience. During the performance of official duty, when the employee knows his duties, rules of conduct, and moral values, these factors affect the quality of the performed duty. Professional ethics play a major role in crime prevention. Ethical prevention solves its tasks by pedagogical-ethical categories such as education, upbringing, teaching, and development. This is the key to accomplishing the set tasks correctly, efficiently, and fairly.

Hippocrates defined ethical standards for the practice of medicine. In addition to his famous pledge ("First, not harm"), he emphasized the principles of benevolence, non-maleficence, autonomy, and justice. These standards of doing good, and not harm, allow us to have a solid professional foundation within the theory and practice of both healthcare and law and criminology.

### გამოყენებული ლიტერატურა - References


1. მალხაზ ბაძაღუა, პროფესიული ეთიკის საფუძვლები, თბ., 2018.
2. ზაურ წულაია, კრიმინოლოგია, თბ., 2003.
3. https://iep.utm.edu/h-c-ethi/, health care ethics
4. მალხაზ ბაძაღუა, იურიდიული პედაგოგიკა, თბ., 2006.



კობა ანთაძე
სტუდენტი, გრიგოლ რობაქიძის
უნივერსიტეტის სამართლის
სკოლა

**Koba Antadze**
Student, Grigol Robakidze
University School of law

## იაპონიისა და ისრაელის გამოცდილება ეთიკურ ნორმებთან მიმართებაში

**საკვანძო სიტყვები:** *ისრაელი, იაპონია, ეთიკა*

განვიხილოთ ეთიკია საქართველოში, იაპონიისა და ისრაელის მაგალითებზე. ეთიკის კოდექსს საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი როლი ეკავა და კვლავაც უჭირავს, ამას ვხედავთ ქართულ ხელოვნებაში, პოეზიაში, ცეკვავსა თუ სიმღერაში. ეთიკა საქართველოს განუყოფელი კულტურის ნაწილია და მას ბავშვობიდანვე შევასწავლით ჩვენ შვილებს, მაგრამ საუბარი არ არის დღევანდელ რეალობაზე, სადაც ნათლად ჩანს, თუ, რამდენად დაკარგა ქართველმა ერმა ერთ-ერთი მისი უმნიშვნელოვანესი საიდენთიფიკაციო ნიშანთვისება. დღევანდელ რეალობაში ეთიკური ადამიანი, საქართველოში განვითარებად პიროვნებასთან იგივდება, რასაც ძალიან ცუდი გავლენა აქვს, როგორც საზოგადოების ჯანსაღ აზროვნებაზე, ასევე მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. სწორედ ამიტომ გვჭირდება გადავხედოთ წარმატებული და განვითარებული ქვეყნების საუკეთესო მაგალითებს:

ისრაელი არის ქვეყანა, რომელიც ეთნოსურად ებრაული ხალხის გაერთიანებაა, მათ დაახლოებით 60 წლის განმავლობაში შექმნეს სახელმწიფო მაღალი სტანდარტებით და ამავდროულად ანგარიშგასაწევიცაა სხვა ქვეყნებისთვის. რისი საფუძვლადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, კიდეც ეთიკის ნორმების უმაღლეს სტანდარტებამდე აყვანა, ყოველი ებრაელი ვალდებულია ემსახუროს საკუთარ ქვეყანას ბოლოო ამოსუნთქვამდე, ამ მენტალობაზე იზრდება ებრაული ახალგაზრდობა, ასევე ისრაელში მაქსიმალურ ყურადღებას უთმობენ კოლექტიური მუშაობის პრინციპებს, რაც მრავალ ეთიკურ საკითხსაც მოიცავს, მაგალითად: ყოველი ებრაელი ცდილობს, რომ საკუთარ თანამოძმეს არ შეუქმნას რაიმე სახის პრობლემები ან დამატებითი სამუშაო, ასევე, რაც ყველაზე მთავარი  და საყურადღებოა, მათი წეს-ჩვეულებებისა და კანონების უმრავლესობა დაფუძნებულია რელიგიაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ეთიკის ნორმებიც ერთ-ერთი მთავარია აპრიორია, რადგან ყოველი რელიგია შეგასწავლის სწორად ცხოვრების ხელოვნებას, თუ, როგორ უნდა იქცეოდეს ქალი და კაცი საზოგადოებაში, ოჯახში, მეგობართან თუ მის თანამოძმესთან. რაც ერთობ გამოსარჩევი და ასაღებია ისრაელიდან.

იაპონია არის ქვეყანა უდიდესი კულტურით, ისტორიით, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი, მოწინავე ქვეყანა ტექნოლოგიებისა და ეკონომიკურ საკითხებში, რაც, რა თქმა უნდა, იაპონური ერის დამსახურებაა. და ისმება შეკითხვა. რა არის ასეთი პროდუქტიულობისა და წინსვლის მიზეზი?. რაზეც ადამიანების უმრავლესობა გაგცემთ პასუხს, რომ ისინი ყოველდღიურად გარემო პირობების განურჩევლად მუშაობენ, მაგრამ ეს ასე არ არის. იაპონელები ატარებენ კონფუცისა და რესპექტის კულტურას, რომელიც გადმოცემულია საბავშვოდ, ანიმაციებსა თუ ფილმებში. ეს მათი აღზრდის დამსახურებაა, რაც მაქსიმალურად მოითხოვს გონისა და დროის პროდუქტიულად გამოყენებას. მაგალითად: ტოკიოს უნივერსიტეტს აქვს წესად

მიღებული, რომ თუკი სტუდენტი წარდგება მართლმსაჯულების წინაშე და სასამართლო გაამტყუნებს მას, იგი უნივერსიტეტიდან არ ამოირიცხება ავტომატურად, რამდენად მძიმეც არ უნდა იყოს მისი დანაშაული, ისინი საბჭოს კრებენ და განიხილავენ, თუ, რამდენად იდო გონი მის ქმედებებში. რაც ნათლად ასახავს იმას თუ, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები და არ ანიჭებენ რაიმე სახის მნიშვნელობას მის წარსულს, მატერიალურ შესაძლებლობასა თუ „გვარიშვილობას" ვფიქრობ, ამ ორი ქვეყნის ისრაელისა და იაპონიის მაგალითების აღება და განვითარება გვჭირდება. სწორედ ჩვენ ქართველებს, ეს ის არის, რაც დღის წესრიგში დგას ქართული ერისათვის, და უნდა დავინახოთ ეს განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, სტუდენტებმა, რადგან სწორედ ისინი არიან საქართველოს მომავალი და მათ, უნდა შექმნან შემდგომი ეპოქა საქართველოსათვის. ამისათვის აუცილებელია, პირველ რიგში დაინახონ და გააანალიზონ, რომ ეთიკის გარეშე კულტურა და განვითარება არ იქნება, ისევე როგორც, კულტურის გარეშე ეთიკა არ იარსებებს. ქართველებს, კიდევ კულტურა ერთ-ერთი უძველესი გვაქვს და განვითარების მაღალ დონეზეა მოტანილი დღეს დღეობით, მხოლოდ სასარგებლოსა და ცუდის გარჩევა უნდა ვისწავლოთ, რადგან, რასაც ვხედავ და მესმის მხოლოდ გონის ნაკლებობაა, რადგან ყველა იმას აკეთებს, რაც მოდაშია და არა იმას, რაც რეალურია. ისე იქცევიან თითქოს რაიმეთი მეტს წარმოადგენენ ერთი მეორეზე მატერიალური, თუ საზოგადო სტატუსით. რაც ძალიან ცუდი აზროვნებაა და ეს უნდა მოისპოს ამ აზროვნების ჩასახვისთანავე, რაც პირველ რიგში სკოლამ და უნივერსიტეტმა უნდა შეძლოს. რომ გვყავდეს ჯანსაღად მოაზროვნე თაობა, რომელიც „ქვეყნის ერისა და ღმეთის წინაშე პირნათელი" იქნება.

## Experience of Japan and Israel about ethical norms

**Keywords:** *Israel, Japan, ethics*

Ethics in Georgia, on the examples of Japan and Israel. The code of ethics has played one of the biggest roles in Georgia and continues to play it, we can see it in Georgian art, poetry, dance, and song. Ethics is an integral part of Georgian culture and we will teach it to our children from childhood, but we are not talking about today's reality, where it is clear how much the Georgian nation has lost one of its most important identifying features. In today's reality, an ethical person is equated with a developing person in Georgia, which has a very bad effect on the healthy thinking of the society, as well as on its daily life. That is why we need to look at the best examples of successful and developed countries: these are:

Israel is a country that is ethnically Jewish people, they have created a state with high standards for about 60 years, and at the same time, they are accountable to other countries. What we can consider as the basis is raising ethical norms to the highest standards, every Jew is obliged to serve his country until his last breath, the Jewish youth grows up on this mentality, and in Israel, they pay maximum attention to the principles of collective work, which includes many ethical issues, for example every Jew tries to not to create any kind of problems or extra work for your fellow man, also, what is most important and noteworthy, most of their customs and laws are based on religion, which means that ethical norms are also one of the main a priori, because every religion will teach you the art of living properly if, how a woman and a man should behave in society, in the family, with a friend or his fellow man. Which is both distinctive and taken from Israel. Japan and ethics. Japan is a country with a great culture, and history, one of the world's leading, advanced countries in technology and economic issues, which, of course, is the merit of the Japanese nation. And a question is asked. What is the reason for such productivity and progress? To which most people will tell you

that they work every day regardless of the environmental conditions, but this is not the case. The Japanese have a culture of Confucianism and respect, which is conveyed in children, animations, and movies. This is due to their upbringing, which requires the most productive use of mind and time. For example: The University of Tokyo has a rule that if a student is brought to justice and found guilty by the court, he is not automatically expelled from the university, no matter how serious his crime, they convene a council and discuss the extent of his actions. This clearly shows how important a person's mental abilities are to them and they do not attach any importance to their past, material ability, or "relatives", I think we need to take and develop the examples of these two countries, Israel and Japan. For us Georgians, this is what is on the agenda for the Georgian nation, and especially young people, students, should see this, because they are the future of Georgia and they should create the next era for Georgia. For this, it is necessary, first of all, to see and analyze that without ethics there will be no culture and development, just as there will be no ethics without culture. Georgians have one of the oldest cultures and it has been brought to a high level of development today, we just have to learn to distinguish between good and bad, because what I see and hear is only a lack of reason, because everyone does what is fashionable and not what is real. They act as if they represent something more than the other regarding material or social status. This is a very bad way of thinking and should be eradicated as soon as this way of thinking is conceived, which the school and the university should be able to do first. We have a healthy thinking generation, which will be bright before the nation and God.

### გამოყენებული ლიტერატურა - References

Tokyo university rules .3.18.4.



ელენე გიორგაძე
სტუდენტი, გრიგოლ რობაქიძის
უნივერსიტეტის სამართლის
სკოლა

**Elene Giorgadze**
Student, Grigol Robakidze
University School of law

## რა დაგვანახა კოვიდ პანდემიამ ეთიკის ჭრილში

**საკვანძო სიტყვები:** *პანდემია, ეთიკის პრინციპები.*

კავშირი პანდემიასა და ეთიკას შორის მნიშვნელოვანია, რადგან პანდემიები აჩენს მრავალ ეთიკურ დილემას და მოსაზრებას, მისივე მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს უკანსაკნელი მოიცავს მოსახლეობის ჯამრთელობას, კეთილდღეობას და ხშირ შემთხვევაში სიცოცხლეს. პანდემიამ მთელი მსოფლიოო უდიდესი გამოწვევების წინაშე დააყენა. დაიღუპნენ და დაავადნენ ადამიანები, გაუქმდა ყველანაირი საზოგადოებრივი აქტივობა, გაჩერდა მსოფლიოო.

დღესდღეობით მსოფლიოო ისეთი გლობალური გამოწვევების წინაშე დგას, როგორიც არის პანდემია. ამ უკანასკნელის გამომწვევი მიზეზია, ვირუსი, რომელიც კოვიდის სახელით არის ცნობილი. პანდემია დაიწყო ჩინეთში, ქალაქ უხანში, პანდემია ელვის სისწრაფით გავრცელდა და მისი გავრცელების არეალი ყველაფერს მოედო. ამ ვირუსმა არ იცის საზღვრები, არ ცნობს პერსონებს, არ ანსხვავებს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს. დაიღუპა ათიათასობით ადამიანი, მილიონობით ადამიანი დაინფიცირდა. გაჩერდა ყველა და ყველაფერი, ეკონომი-

კა, სასწავლო პროცესი, ყველანაირი საზოგადოებრივი აქტივობა. მსოფლიომ დაიწყო კარანტინის რეჟიმით ცხოვრება, რათა ვირუსის გავრცელების რისკები შეემსუბუქებინათ. ადამიანები მოექცნენ იზოლაციაში, სავალდებულო გახდა სოციალური დისტანციის დაცვა, სამედიცინო პირბადისა და ხელთათმანის ტარება, ანტიბაქტერიული საშუალებების ინტენსიური გამოყენება, დარჩა მხოლოდ სასიცოცხლოდ მნიშნელოვანი ობიექტები, მარკეტები, აფთიაქები, საავადმყოფოები. ამ პერიოდში ორ ფრონტზე გვიწევდა ბრძოლა, პანდემია და ეკონომიკა.

ზემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილებები, იზოლაციის, ნიღბების, დისტანციის და ა.შ. უნდა ითვალისწინებდეს როგორც საზოგადოების ჯამრთელობას, ისე ინდივიდუალური თავისუფლებების და საერთო სიკეთეების ბალანსს. ეს უკანასკნელი კი არის ეთიკური პრინციპი, რომელიც ხაზგასმულია პანდემიის დროს.

პანდემიის გამოცდილებამ გარდა ამისა ხაზი გაუსვა სხვა რამდენიმე ეთიკურ პრინციპს, მაგალითად ქვეყნების, მოსახლეობის სოლიდარობას ერთმანეთის მიმართ, რომ ერთად იმუშაონ დიდი სიკეთისთვის და მხარი დაუჭირონ ინდივიდებს. ქვეყნებმა კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ერთმანეთისგან განსხვავებული ტაქტიკა აირჩია - ზოგმა უფრო მკაცრი, ზოგმა ნაკლებად მკაცრი ღონისძიებები გაატარა, მაგალითად: შვედეთმა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ქვეყნების უმეტესობა უმკაცრესი შეზღვუდვების პირობებში ცხოვრობდა, შვედეთი პანდემიას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და ბიზნესის სავალდებულო დახურვის გარეშე უმკლავდებოდა, რადგან შვედი საზოგადოება მაღალი ეთიკური სტანდარტებით გამოირჩევა. მათ ცხოვრებაში ეს რეგულაციები ისედაც არსებობდა, რომლის სწავლაც და შეძენაც ჩვენ პანდემიის პერიოდში მოგვიხდა. მათი ცხოვრების ბუნებრივმა წესმა, მათი საზოგადოების მაღალი ეთიკური სტანდარტების არსებობამ, ისევე როგორც ჯამრთელობის სფეროში ცნობიერების უმაღლესმა

საფეხურმა, რაშიც იგულისხმება სოციალური დისტანციის დაცვა, ჰიგიენის დაცვა და ა.შ., გამოიწვია როგორც ინფიცირებულთა სიმცირე, ისე ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობა.

პანდემიის დროს ასევე ხაზგასმულია დეზინფორმაციის გავრცელებასთან ბრძოლის და ზუსტი ინფორმაციის ხელშეწყობის ხაზიც, რომელიც ასევე არის ეთიკური პრინციპი. ამ ახალმა რეალობამ, მედია, პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით, არაერთი გამოწვევის წინაშე დააყენა. ჟურნალისტებს ზოგადად ახასიათებთ არაეთიკური ქცევები საზოგადოების მიმართებით, რაც პანდემიის პერიოდმა დადებითისკენ შემოატრიალა, მაგალითად: სოციალური დისტანციის კუთხით და აშ. პანდემიის პერიოდში, შიშის ფონზე, მომატებული იყო დეზინფორმაციის ნაკადი, რაც მედიისთვის ქმნიდა ახალ გამოწვევას ინფორმაციის გადასამოწმებლად განსაკუთრებული ძალისხმევა გაეღოთ, გარდა ამისა ეთიკური პრაქტიკა მოიცავდა ინფორმაციის გაზიარების გამჭირველობას, რაც ასევე მოითხოვდა უკანასკნელს. მიუხედავად იმისა რომ მედია არ ერიდება ჭორებს და სპეკულირებას, პანდემიის პერიოდი იმდენად სენსიტიური და სერიოზული თემა იყო თითოეული ადამიანისთვის, რომ გვერძე გადადეს ეს უკანასკნელი და დაიწყეს ზუსტი ინფორმაციის მოწოდება საზოგადოებისთვის, შესაბამისად მათი ზედაპირული მიდგომა, მათი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები თითოეული მოქალაქის მიმართ შეიცვალა და გადაზარდა პროფესიონალიზმში.

როგორც უკვე ვთქვით პანდემიამ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა მსოფლიო. საწყისს პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებს  უწევდათ ფიქრი იმაზე თუ როგორ წარემართათ სასწავლო პროცესი და მიუხედავად იმისა, რომ ბოლოდროს ონლაინ სწავლება საკმაოდ პოპულარული გახდა ამ უკანასკნელ სწავლების მეთოდს უამრავი პრობლემა ახლდა თან, რასაც უარყოფით ჭრილში გავყავართ ამ კუთხით, მაგალითად: შეზღუდული კომუნიკაცია, ტექნიკური წვდომის

სირთულეები, ინტერნეტთან წვდომის დაბალი ხარისხი და გაუმართაობა, რაც განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლით ფიქსირდება რეგიონებში, არაკომფორტული გარემო და სხვა. ამ უკანასკნელის რესურსების განაწილებაც ეთიკურ ჭრილში გადის. ეთიკური კითხვები ჩნდება, როდესაც განვსაზღვრავთ, თუ როგორ უნდა გამოიყოს შეზღუდული რესურსები, მაქსიმალური სარგებელი და ზიანის მინიმუმამდე შემცირება.

პანდემიის პერიოდში ოჯახის ხაზი საკმაოდ დიდ როლს თამაშობს. ამ უკანსკნელმა ოჯახების გარკვეულ ნაწილში ძალიან დადებითი მომენტები აღძრა. პანდემიის პერიოდმა ოჯახის წევრები ერთმანეთს უფრო მეტად დაახლოვა. მეტმა დრომ, კომუნიკაციამ და სიყვარულმა დაიწყო გამოხატვა, თუმცა ამ კუთხით პანდემიას უარყოფითი მხარეც ახასიათებს. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში სრულად პირიქით ტრიალდება რეალობა. შეიძლება ადამიანების უმეტესობისთვის სახლი უსაფრთხოების და დაცულობის წყაროა, თუმცა გარკვეული ნაწილისთის პირიქით. ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობა საკმაოდ ხშირია და განსაკუთრებით გაიზარდა ეს მაჩვენებელი პანდემიის პერიოდში, რადგან სახლში გამოკეტვამ, სტრესმა და მღელვარებამ გამოიწვია ზღვა აგრესია ადამიანებში. ეთიკაში კი საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ოჯახის სიყვარულს, რაშიც როგორც ორი ადამიანის სიყვარული, ისე მშობლისა და შვილის დამოკიდებულებასაც გულისხმობს. ოჯახური სიყვარული ნიშნავს მოვალეობების მთელ რიგს მშობლებსა და შვილებს შორის, რომელთა აღსრულებაც თითოეულის წმინდა ვალია.

